# სარბიელი

სპორტული გაზეთი

ხუთშაბათი 27 ივნისი 2002 №117 (1639)

ფასი 50 თეთრი










# კორეა-იაპონია 2002 ნახევარფინალი

## №62 ბრაზილია 1:0 თურქეთი

25 ივნისი. საიტამა (იაპონია). 16.30 „საიტამა სტადიუმ". 61 058 მაყურებელი

1:0 რონალდო (49')

1 მარკოსი

მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი

3 ლუსიო — 5 ედმილსონი — 4 როკე ჟუნიორი

15 კლებერსონი

8 ჟილბერტო სილვა

2 კაფუ — 6 რობერტო კარლოსი

10 რივალდო

20 ედილსონი — 9 რონალდო

9 ჰ. შუქური

11 ჰასან შაში

10 ბაშთურქი

18 ერგუნი — 22 დავალა უმითი

21 ემრე ბელოზოღლუ

8 თუგაი

3 ბიულენთი — 5 ალფაი — 4 ფათიჰი

მწვრთნელი შენოლ გიუნეში

1 რუშთუ

შეცვლა: ემრე ბელოზოღლუ – 17. ილჰანი (62), რონალდო – 21. ლუიზაო (68), დავალა უმითი – 13. იზეტი (74), ედილსონი – 17. დენილსონი (75), კლებერსონი – 13. ბელეტი (85), ბაშთურქი – 6. არიფი (88)

გაფრთხილება: ჟილბერტო სილვა (41), თუგაი (59), ჰასან შაში (90)

მსაჯები: კიმ-მილტონ ნილსენი (შვეიცარია); მაცეი ვიერჟბოვსკი (პოლონეთი), იგორ შრამკა (სლოვაკეთი)

| | | |
|---|---|---|
| 18 | ჯარიმა | 16 |
| 7 | კუთხური | 8 |
| 18 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 11 | კარში დარტყმა | 3 |
| 0 | თამაშგარე | 0 |



REUTERS საქართველო

ბიულენთ ქორქმაზმა რონალდოს თავი არ დაზოგა

# რაც არ გვინახავს, ის ვნახოთ

პაატა კვანტალიანი

**ესეც ასე,** ყველაფერი დალაგდა. აბა, შავი ზღვის პლაჟი კოპაკაბანას რას გაუტოლდებოდა. მიუხედავად ერთგვარი პრაგმატულობისა, ფინალში მაინც ის გუნდი გავიდა, ვისაც ჯერაც არ დავიწყებია, რომ ფეხბურთში მთავარი სანახაობაა. სანახაობა... ბრაზილია ყველაზე ფასეულის მკვლელ ევროპულ მოდელს არ აჰყვა და მწვერვალსაც მიუახლოვდა. თითის გაწვდენაზეაა ის ადგილი, საიდანაც ხელისგულივით მოსჩანს მსოფლიო.

სხვისი არ ვიცი და, მე ამ ჩახლართულ-ჩაბურდულ, მოულოდნელობებით დახუნძლული ჩემპიონატის ყველაზე დიდი კანონზომიერება ბრაზილიის ნაკრების ფინალში გასვლა მგონია. სად არიან ზიდანი, ვიერი, ფიგუ



REUTERS საქართველო

ჰაქან შუქურმა და ლუსიომ ერთმანეთისკენ გაიწიეს

ვერონი, სად არის ვარსკვლაბიჭუნა ოუენი, ასე მოდური ბექემი, ელეგანტური ტოტი. რატომ არ ჩანან კრესპო, ინძაგი, ბატისტუტა. ამათი ფასი ერთად 4 მილიარდ დოლარს უტოლდება, 4 მილიარდ დოლარს! ეს ხალხი უმნიშვნელოვანესი მოვლენების მიღმა დარჩა და ამას ერთადერთი ახსნა აქვს. მილიარდებიანი ვარსკვლავთკრებული მომქანცველმა, მკვლელმა, გაუთავებელმა მჭიდროევროპულმა საფეხბურთო ბატალიებმა იმსხვერპლა. „ევროპელია" რივალდოც, რონალდოც და კიდევ რამდენიმე ბრაზილიელი, მაგრამ ტეტრაკამპეონთა დამრტყმელი ძალა გამოფიტვას ტრავმების წყალობით გადაურჩა. ყოჩაღი რონალდინიო სულაც შემოდგომაზე ჩაება ევროპულ ფერხულში. ვფიქრობ, ზედმეტია სამხრეთამერიკულ მაღალ კლასზე ლაპარაკი. მოკლედ, ბრაზილია ყველაფრის გათვალისწინებით იმსახურებდა ფინალს.

ბრაზილიამ გუშინდელი თამაშითაც დაიმსახურა ფინალი და ნურც ის დაგვავიწყდება, რომ თეორიებში გაბლანდულ ერიკსონის ინგლისის გარდა ყველა მოწინააღმდეგემ საუკეთესო მატჩი ითამაშა ტეტრაკამპეონებთან.

პირველი მატჩის მსგავსად, თურქეთი გუშინაც შესაძლებლობის ზღვარზე გაისარჯა, ლაზი შენოლ გიუნეში კორეა-იაპონიას თავაწეული დატოვებს. მწვრთნელის ღირსება ხომ ის არის, მაქსიმუმი აჩვენებინოს გუნდს. მაგრამ გიუნეში, მგონი, ერთში მაინც შეცდა — მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ფეხებდაბორკილი შუქური უსუსური იყო გუშინდელ ნახევარფინალურ მატჩში. უსარგებლო კაცის მოედანზე ყოფნით გამოწვეული პრობლემების მოგვარება ჰასან შაშმა ითავა და წარმატებითაც. შაშმა ეფექტურად და საზრიანად იქროლა, მისი წყალობით საამმატჩოდ გაყოყოჩებულ თურქებს ბრაზილიელთა საჯარიმომდე ყველაფერი ჩინებულად გამოსდიოდათ. ფაქტია, თურქეთს ჰყავს იმ დონის შემსრულებლები, მოკლე პასებით და ბურთის წკაპუნ-წკაპუნით შეტევაზე რომ გადავიდნენ, მაგრამ თურქეთმა არ იცის, თუ რა გზით უნდა დაძლიოს გაწონასწორებული ლუსიოს, ჯადო-კარლოსის, თუნდაც თავქარიანი ედმილსონის წინააღმდეგობა, არ იცის და სადღეისოდ, ალბათ, არც მოეთხოვება. სამაგიეროდ, რონალდომ და რივალდომ მშობლების სახელებივით იციან, თუ როგორ უნდა გაიტანონ გოლი თუნდაც ისეთ მოჯადოებულ კარში, მარჯვენა ფეხზე ამდგარი რუშტუ რომ იცავს.

შეუფასებელი იყო უპეებჩაშავებული მეკარე. მისი წყალობით გაიყოლა თურქმა იმედი შესვენებაზე, თორემ ბრაზილიელთა რაგინდარა მოქნეულები პირველ ტაიმშივე მოამთავრებდა საქმეს. ბრწყინვალე იყო რონალდო, გუშინ მთელი ტაიმი რომ მიჩუმდა აფეთქების წინ, მაგრამ იმ გოლად მართლაც ღირდა „კიჭას" 45-წუთიანი დუმილი.

ბრაზილიას აინუნშიაც არ ჩაუგდია ის, რომ მოწინააღმდეგე მზადყოფნაში შეხვდა გოლს და ბედის საძიებლად მეტოქის ნახევარს მიაწყდა. მხოლოდ ნახევარს, რადგან ბრაზილიელთა საჯარიმოს გასაღები ორ ბრწყინვალე მცველს ებარა. მხოლოდ ერთხელ მიეცა ოსმალოს ისტორიული გოლის შანსი — დუშაშივით ნაღდ შაშის ზუსტ პასს უსახური შუქურის გაწბილება რომ მოჰყვა, მაგრამ ერთი შანსით ბრაზილიასთან საქმეს ვერ გააწყობ... თურქები დროულად შეუერთდებიან შავი ზღვის საპლაჟო სეზონს, ბრაზილიას კი რა ეჩქარება — კოპაკაბანაზე ხანგრძლივი დარი იცის.

ჩვენ კი, რაც არ გვინახავს, იმის მოლოდინში ვართ — წინ ბრაზილია — გერმანიაა.

## მატჩის შემდეგ

### ლუიშ ფილიპე სკოლარი
*ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი*

დიდი სხვაობით გამარჯვებას ვგეგმავდით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. თურქები მრავალფეროვნად თამაშობდნენ, გამორჩეულად კარგად ფლანგებზე გაისარჯნენ. მათ წაგებამ გული არ უნდა დასწყვიტოთ, მსოფლიოს საუკეთესო ოთხ გუნდში მოხვედრა იოლი არაა, ვულოცავ ამ შედეგს. თურქებს საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენსავით გაუჭირდათ, მაგრამ ჩემპიონატზე ორივემ დავამტკიცეთ ჩვენი ძალა. როცა ჯგუფში ვითამაშეთ, მაშინვე ვთქვით, ეგებ ერთმანეთს მერეც შევხვდეთო. ასეც მოხდა და ამჯერადაც ღირსეულმა გაიმარჯვა.

როცა რონალდო ვარჯიშზე უცნაური ვარცხნილობით მოვიდა, ყველას კარგად გვენიშნა. იგი არ დაღლილა, უბრალოდ, დასასვენებლად გავიყვანე მინდორიდან. რონალდოს დიდი იმედი გვაქვს ფინალში.

### რონალდო

ძალიან მინდა, მსოფლიოს ჩემპიონები გავხდეთ. გახარებული ვარ გამარჯვების გოლი რომ გავიტანე, ფინალშიც იგივეს ვაპირებ.

თურქები ძლიერები არიან, მაგრამ მათი სამი ნომერი (ბიულენთი) არასწორად მომექცა. ერთ ეპიზოდში წავიქეცით, როცა ვდგებოდით, ფეხი დამაბიჯა და მუშტი თავში ჩამცხო. ცხადია, გავბრაზდი და ასეთი მწვავე რეაქცია ამიტომაც მქონდა.

### შენოლ გიუნეში
*თურქეთის ნაკრების მწვრთნელი*

აქ საფეხბურთო ზეიმში მონაწილეობისთვის ჩამოვედით, რაც, შეიძლება ითქვას, ცოტა ხმაურიანადაც გამოგვივიდა. ისე, ფინალში გასვლას ჩვენც ვიმსახურებდით და რომ გაგვეღწია, ჩემპიონატსაც მოვიგებდით. ცოტა ვნაღვლობ, რომ თურქ ხალხს ბედნიერება დღეს ვერ მივანიჭე, მაგრამ სამშობლოში მაინც თავაწეულები დავბრუნდებით.

ბრაზილია ვარსკვლავთა გუნდია, მას გერმანელებთან გაცილებით იოლი მატჩი ელის.

## სტენოგრამა

**პირველი წუთი:** დავალა უმითის შორეული დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

**მე-4 წუთი:** ემრე ბელოზოღლუს მეკარემ აუღო.

**მე-7 წუთი:** ემრე ბელოზოღლუს საჯარიმო დარტყმა მარკოსმა გააუვნებლა.

**მე-18 წუთი:** ალფაის თავური მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

**მე-19 წუთი:** რივალდო-რონალდო-კაფუს ულამაზესი კომბინაცია თურქთა მეკარის ბრწყინვალე თამაშმა ჩაახშო.

**მე-20 წუთი:** რობერტო კარლოსმა კარს ააცილა.

**21-ე წუთი:** რივალდოს რუშთუ რექბერმა აუღო. მანვე დამატებაზე რონალდოსაც აჯობა.

**26-ე წუთი:** რონალდოს დარტყმულს მეკარე გადაეფარა.

**29-ე წუთი:** ხელსაყრელ პოზიციაში დარჩენილ ჰაქან შუქურს ბურთი მცველმა აართვა.

**31-ე წუთი:** რობერტო კარლოსის საჯარიმო დარტყმას მეკარე გაუმკლავდა.

**32-ე წუთი:** რივალდოს რუშთუმ ნახტომში აუღო.

**34-ე წუთი:** რივალდოს დარტყმული სანტიმეტრებით ასცდა კარს.

**41-ე წუთი:** ემრე ბელოზოღლუს საჯარიმო არაზუსტი იყო.

**43-ე წუთი:** რობერტო კარლოსს მეკარემ არ გაატანინა.

**44-ე წუთი:** რუშთუ რექბერმა ფეხიდან ააცალა ბურთი ედილსონს.

**49-ე წუთი:** რონალდომ სწრაფი რეიდი მოულოდნელი და საგოლე დარტყმით დააგვირგვინა — 1:0.

**58-ე წუთი:** რონალდომ ედილსონს უპასა, რომელსაც მცველმა დაასწრო და სახიფათო მომენტი განიმუხტა.

**61-ე წუთი:** კლებერსონის დარტყმულს მეკარე გაუმკლავდა.

**72-ე წუთი:** კაფუს ჩაწოდებულს ლუიზაოს ლამაზი მაკრატელა მოჰყვა — ბურთი კარს ასცდა.

**79-ე წუთი:** ილჰან მანსიზს მცველმა დაუფარა.

**81-ე წუთი:** ჰასან შაშის ჩაწოდებულს ჰაქან შუქურმა დაჰკრა — მარკოსმა იმარჯვა.

**84-ე წუთი:** ილჰან მანსიზმა კარს ააცილა.

**86-ე წუთი:** დენისლონის დარტყმულმა მიზანს ვერ უწია.

**90-ე წუთი:** რივალდომ არაზუსტად გაისროლა.

**90-ე წუთი:** ილჰან მანსიზის თავური კარს ასცდა.

# ნახევარფინალის სიმბოლური ნაკრები („სარბიელის“ ვერსია)




# მსოფლიოს ჩემპიონატების ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გერდ მიულერი (გერმანია) | 14 |
| ჟიუსტ ფონტენი (საფრანგეთი) | 13 |
| პელე (ბრაზილია) | 12 |
| შანდორ კოშიჩი (უნგრეთი) | 11 |
| იურგენ კლინსმანი (გერმანია) | 11 |
| ჰელმუტ რანი (გერმანია) | 10 |
| თეოფილო კუბილასი (პერუ) | 10 |
| გჟეგოჟ ლატო (პოლონეთი) | 10 |
| გარი ლინეკერი (ინგლისი) | 10 |
| გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა) | 10 |
| რონალდო (ბრაზილია) | 10 |

# სადღეისო ვითარება

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 6 | რონალდო | (ბრაზილია) |
| 5 | რივალდო | (ბრაზილია) |
| | მიროსლავ კლოზე | (გერმანია) |
| 4 | იონ დალ ტომასონი | (დანია) |
| | კრისტიან ვიერი | (იტალია) |
| 3 | მიხაელ ბალაკი | (გერმანია) |
| | პაპე ბუბა დიოპი | (სენეგალი) |
| | რაული | (ესპანეთი) |
| | ფერნანდო მორიენტესი | (ესპანეთი) |
| | ჰენრიკ ლარსონი | (შვედეთი) |
| | მარკ ვილმოტსი | (ბელგია) |
| | რობი კინი | (ირლანდია) |
| | პედრო პაულეტა | (პორტუგალია) |

## ავტოგოლი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ესტანისლაო სტრუვაი | (პარაგვაი) |
| | ჟორჟე კოშტა | (პორტუგალია) |
| | ჯეფ აგოსი | (აშშ) |
| | კარლეს პუიოლი | (ესპანეთი) |

## წითელი ბარათი

1 — ბორის ჟივკოვიჩი (ხორვატია)
ალფაი ოზალანი (თურქეთი)
ჰაქან უნსალი (თურქეთი)
სალიფ დიაო (სენეგალი)
ტიერი ანრი (საფრანგეთი)
კარსტენ რამელო (გერმანია)
პატრიკ სუფო (კამერუნი)
კლაუდიო კანიჯა (არგენტინა)
კარლოს პარედესი (პარაგვაი)
ნასტია ჩეჩი (სლოვენია)
შაო ჟიაი (ჩინეთი)
ჟოაუ პინტუ (პორტუგალია)
ბეტუ სევერუ (პორტუგალია)
რობერტო აკუნია (პარაგვაი)
რაფაელ მარკეში (მექსიკა)
ფრანჩესკო ტოტი (იტალია)
რონალდინიო (ბრაზილია)

# სტატისტიკა

*ჩატარდა — 62 მატჩი, 46 მოგება, 16 ფრე*

*სულ გავიდა 154 გოლი, საშუალოდ მატჩში — 2.48*

*პირველ ტაიმში გავიდა 65 გოლი, მეორეში — 86*

*დაფიქსირდა 3 ოქროს გოლი*

*პენალტების სერია — 2 (ესპანეთი — ირლანდია, ესპანეთი — ს. კორეა)*

*ყველაზე სწრაფი გოლი — პოლონელი ემანუელ ოლისადებე (მე-3 წუთზე, III ტურში აშშ-სთან)*

*ყველაზე შედეგიანი გუნდი — ბრაზილია (16 გოლი)*

*ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი — რონალდო (ბრაზილია) — 6 გოლი*

*ყველაზე მეტჯერ კარისკენ დარტყმა — გერმანია (88)*

*ყველაზე მეტჯერ კარისკენ დარტყმა — რონალდო (ბრაზილია, 21)*

*ყველაზე მეტჯერ კარში დარტყმა — ბრაზილია (46)*

*ყველაზე მეტჯერ კარში დარტყმა — რონალდო (ბრაზილია, 17)*

*ყველაზე ცოტა კარისკენ დარტყმა — ჩინეთი (19)*

*ყველაზე ცოტა კარში დარტყმა — ტუნისი (6)*

*ყველაზე უხეში მატჩი — იაპონია — რუსეთი (62 ჯარიმა)*

*ყველაზე უხეში გუნდი — ს. კორეა (123 ჯარიმა)*

*ყველაზე უხეში ფეხბურთელი — კაფუ (ბრაზილია, 17), კლებერ კალა (ეკვადორი, 17)*

*ყველაზე მეტჯერ ეუხეშნენ — ილდირაი ბაშთურქი (თურქეთი, 28)*

*ყველაზე კორექტული მატჩი — ნიგერია — ინგლისი (19 ჯარიმა)*

*დაფიქსირდა 17 წითელი და 252 ყვითელი ბარათი*

*ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი — მესამე ტურის კამერუნი — გერმანია (16)*

*მეორე ტურის გერმანია — ირლანდიის და მესამე ტურის ნიგერია — ინგლისის მატჩებში მსაჯს არავინ გაუფრთხილებია*

*ყველაზე „ყვითელი“ გუნდი — გერმანია (16)*

*4 ავტოგოლი — (ესტანისლაო სტრუვაი, პარაგვაი; ჟორჟე კოშტა, პორტუგალია; ჯეფ აგოსი, აშშ; კარლეს პუიოლი, ესპანეთი)*

*პროცენტულად ყველაზე მეტჯერ ბურთს ფლობდა მექსიკა (67, აშშ-თან)*

*ყველაზე მეტი კუთხური — ს. კორეა (43)*

*ყველაზე ნაკლები კუთხური — საუდეთი (4)*

*ყველაზე მეტჯერ, 26-ჯერ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში ბრაზილია*

*ყველაზე ნაკლებად, 3-ჯერ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში სლოვენია*

*ჩემპიონატის რეკორდული შედეგი — გერმანია 8:0 საუდეთი*

*უგოლოდ დასრულდა მეორე ტურის საფრანგეთი — ურუგვაი, მესამე ტურის ნიგერია — ინგლისი და მეოთხედფინალური ესპანეთი — ს. კორეა*

# იუბილარი



## რაულ გონსალეს ბლანკო (ესპანეთი). 27.06.77

რაულ გონსალეს ბლანკო მადრიდის გარეუბანში დაიბადა და ფეხბურთის თამაში მადრიდის „ატლეტიკოს“ ბავშვთა კლუბში დაიწყო. სამეფო კლუბი რაულის „ბერნაბეუზე“ გადაბარგებას „ატლეტიკოს“ პრეზიდენტ ხესუს ხილი ხილის უნდა უმადლოდეს, რომელმაც თავის დროზე ფულის დაზოგვის მიზნით ბავშვთა აღზრდაზე უარი თქვა. რაულსაც არჩევანი აღარ ჰქონდა და „რეალს“ მიაშურა. 1994-95 წლებში რაულმა „რეალის“ C გუნდში დაიწყო თამაში და პირველივე შვიდ თამაშში მეტოქის კარი ცამეტჯერ დალაშქრა. ჩვიდმეტი წლის რაული ხორხე ვალდანომ „რეალის“ პირველ გუნდში გაამწესა. მაშინვე ჩანდა, რომ ბიჭი უახლოეს მომავალში ვარსკვლავებს გაეთამაშებოდა. სადებიუტო სეზონში რაული მოედანზე ოცდარვაჯერ გავიდა და ცხრაჯერ გაიტანა.

ნაკრებში რაული 1996 წლიდან თამაშობს. ოთხი წლის წინ საფრანგეთში და წლეულს კორეა-იაპონიაში რაულმა მასზე გაცემული ავანსები ვერ გაამართლა. აზიურ მუნდიალზე მან სამი გოლის გატანა შეძლო, თუმცა ესპანელები მათთვის ნავსიან მეოთხედფინალს ვერ გასცდნენ. საფრანგეთში კი ოდენ ერთხელ შეძლო მეტოქის ბადის შერხევა.

რაულის ანგარიშზეა წინა ევროპის ჩემპიონატზე, მეოთხედფინალურ მატჩში ფრანგთა კარში ვერგატანილი თერთმეტმეტრიანი.

რაულისა და „რეალის“ ურთიერთობა კი იღბლიანია. ოცდაოთხი წლის თავდამსხმელი ჩემპიონთა ლიგის სამგზის და პრიმერადივიზიონის ორგზის მომგებია.

რაულს 2001 წელს ფიფას მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ წლის მესამე ფეხბურთელობა არგუნა.



## ანდრე არენდსე (ს. აფრიკა). 27.06.67

ანდრე არენდსემ „ბაფანა ბაფანას“ მაისურა პირველად 1995 წელს, ზამბიელებთან დაპირისპირებისას მოირგო. ანდრე ფეხბედნიერი გამოდგა, მისმა ნაკრებმა არენდსეს დებიუტიდან ერთი წლის თავზე აფრიკის ჩემპიონატში იპირველა. არენდსე საფრანგეთის მუნდიალზეც გაემგზავრა, თუმცა ტრავმამ იგი ჩემპიონატს უფრო ადრე გამოთიშა, ვიდრე მისი თანამემამულენი.

ეს აყლაყუდა (სიმაღლე 190 სმ, წონა 72 კგ), სანაკრებოსგან განსხვავებით, საკლუბო კარიერაში იღბლიანია. 1995 წელს არენდსემ კეიპტაუნის „სანტოსთან“ ერთად წყვილად მოიგო სამხრეთ აფრიკის პირველობა და თასიც, წლეულს კი მისი გუნდი თასს ვერ შესწვდა და არენდსე მხოლოდ სამხრეთ აფრიკის ჩემპიონობას დასჯერდა.



## ზორან პავლოვიჩი (სლოვენია). 27.06.76

ზორან პავლოვიჩი ამჟამად ვენის „აუსტრიას“ ღირსებას იცავს. კარიერა კი სლოვენიურ „ველენიეში“ დაიწყო. მას, თანანაკრებელთა უმრავლესობის დარად, არასდროს უბურთავია არც სლოვენიურ „მარიბორში“ და არც „ლუბლიანაში“. 1998 წელს პავლოვიჩმა „ველენიესთან“ ერთად მოიგო სლოვენიის თასი და მომდევნო წელს ხორვატიულ „დინამოში“ გადაბარგდა.

ზორანს 1998 წელს უნგრელებთან უთამაშია თავისი პირველი სანაკრებო მატჩი, მის შემდეგ დღემდე კი ოცჯერ მოურგია ეროვნული გუნდის მაისურა.

პავლოვიჩს, რომლის კოზირი ძლიერი მარჯვენა ფეხია, სრეჩკო კატანეცი მირითადად შეცვლებზე ათამაშებდა.

# ფიოლერი ფულს დააჯდა

## ბეკენბაუერმა პროგნოზი დააზღვია

## რა საერთო აქვთ ნიანგებს და იტალიელებს?

*ყველაზე მეტად პროგნოზის კეთება არ მიყვარს, მაგრამ ახლა მაინც გეტყვით, ფინალში გერმანია და ბრაზილია ითამაშებენ — ფრანც ბეკენბაუერმა ეს 15 ივნისს თქვა, როცა გერმანელებმა პარაგვაი დაამარცხეს და მეოთხედფინალისკენ გაიკაფეს გზა.*

*თითქმის დარწმუნებული ვარ, ფინალში ჩვენი მეტოქე თურქეთის ნაკრები იქნება — როგორ გგონიათ, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები? შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ორიოდ დღის წინ ესეც ბეკენბაუერმა განაცხადა.*

*და როგორ ფიქრობთ, რა თქვა „კაიზერ ფრანცმა" გუშინდელი ბრაზილია — თურქეთის მატჩის შემდეგ? ხომ ვთქვი, ფინალში გერმანია და ბრაზილია ითამაშებენო. და რას იტყოდა ბეკენბაუერი თურქეთს რომ მოეგო? ვერაფერს იტყვი, შესაშური პროგნოზია.*

*მაგრამ პროგნოზებს თავი ვანებოთ და მთავარი ვთქვათ — გერმანიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდა და მსოფლიოს თასამდე ერთი ნაბიჯიღა უკლია.*

განო ოქროპირიძე
ბერლინიდან



**ჩვენ** ეს შევძელით ევროპის ჩემპიონატზე სამარცხვინო გამოსვლიდან ორი წლის მერე, ინგლისთან 1:5 შერცხვენიდან 10 თვის შემდეგ. უკრაინასთან გადათამაშებაში მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის შემდეგაც სულ 8 თვე იყო გასული. ყოჩაღ, რუდი, შენ მართლაც გოლიათი ხარ! — ასე გამოეხმაურა გერმანელთა ფინალში გასვლას გაზეთი „ბილდი".

ორი დღეა, კორეელებთან გამარჯვების მერე გამოსულ გერმანულ გაზეთებს ვათვალიერებ და ახალი ვერაფერი აღმოვაჩინე, შეიძლება ითქვას, აქაურმა პრესამ როგორც შეძლო, უკვე აქო ფიოლერი და მისი გუნდი. თუნდაც ოლივერ კანზე ვთქვათ, როგორც არ უნდა ეთამაშა კანს, რაღა უნდა დაეწერათ უკვე გაღმერთებულ მეკარეზე? ისეთი დითირამბები, როგორიც გერმანელთა კაპიტანს ერგო ბოლო დროს თანამემამულეებისგან, ალბათ, კიდევ დიდხანს ვერავინ დაიმსახურებს.

ბალაკის კორეასთან გატანილი გამარჯვების გოლის მერე, ამ ფეხბურთელსაც არ დაკლებია ქება-დიდება, მაგრამ კანისას მაინც ვერ შეედრება. თუმცა კი ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, ამასწინათ ვთქვი, რომ ჩვენს ნაკრებში ოლივერ კანის გარდა შეუცვლელი არავინაა, ახლა მინდა, კანს ბალაკიც დავუმატო, მე მის შემცვლელსაც ვერ ვხედავო. მანვე დასძინა, ბალაკი წლევანდელი სეზონის ყველაზე ტრაგიკული მოთამაშეა და მართალია, ფინალში არ გვეყოლება, ჩემპიონობა უმისოდაც შეგვიძლიაო.

„ბილდი" კი ბალაკის შესაძლო შემცვლელზე მსჯელობს და სამი ვარიანტიც აქვს.

პირველი ვარიანტის მიხედვით, მიხაელს იენს იერემისი შეცვლის, ოღონდ იგი უფრო დაცვაზე იქნება დაგეშილი, შეტევაზე კი მეორე საყრდენი დიტმარ ჰამანი იზრუნებს.

მეორე ვარიანტად შნაიდერის ცენტრში გადაყვანა და მის ადგილზე, მარჯვენა ფლანგზე იერემისის გამწესებას ვარაუდობენ.

მესამე შესაძლებლობად კი ბალაკის ნაცვლად, სებასტიან კელის გამოყვანა განიხილება. დაემთხვევა თუ არა „ბილდისა" და ფიოლერის მოსაზრებები ერთმანეთს, ამას მატჩი გვანახებს, თუმცა „რუდი გოლიათს" დიდი არჩევანი რომ არ აქვს, ფაქტია.

— რას ვიზამთ, დიდი დანაკლისია. მიხაელის წინაშე მთელმა ქვეყანამ თავი უნდა დავხაროთ. მან იცოდა, რომ ასეთი ჯარიმისთვის დისკვალიფიკაციას დაიმსახურებდა, მაგრამ ამით დიდი საფრთხე აგვაცილა. ფინალი მას უნდა მივუძღვნათ, მისი ხათრით ჩემპიონები უნდა გავხდეთ — აღნიშნა ფიოლერმა, რომელსაც მატჩის შემდეგ გასახდელში ატირებული ბალაკის დაწყნარება კარგა ხანს უწევდა.

„ამაზე მწარე არაფერია — ამბობს თავად ბალაკი — ფეხბურთში ხშირად არის ისეთი მომენტები, როცა სხვა გზა არ გრჩება. ახლაც ასე იყო, მეტოქეს ჩვენს კართან რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა და სხვა გამოსავალიც აღარ დამრჩენოდა. ეს იყო ჩემი პირველი დაჯარიმება ამ შეხვედრაში და ეს გულს უფრო მიმძიმებს."



სხვა გაზეთების კომენტარებზეც ვთქვათ




„ბერლინერ ცაიტუნგმა" ნახევარფინალის მერე დაწერა: „ხუთ დღეში ფინალი გველის. ეს დაუჯერებელია. 1954, 1974 და 1990 წლებში მსოფლიოს ჩემპიონები რომ გავხდით, ჩვენით მთელი მსოფლიო გაოგნებული იყო, ახლა კი ჩვენც არანაკლებ განცვიფრებულნი ვართ. როგორც იქნა, ჩვენი გუნდის თამაში ვიხილეთ. კვლავაც უბადლო იყო კანი, ჩინებულად გაისარჯა დაცვა, ბრწყინვალე იყო ბალაკი. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება კვირას მეტოქე, თურქეთი თუ ბრაზილია, მთავარია, ჩვენი გუნდის უკვე გვჯერა. სეულის სტადიონზე გავარვარებული ჯოჯოხეთიდან ზეცაში ასროლა ჩვენი ჩემპიონობის წინაპირობაა!"

„ორშაბათს ფრანკფურტში გმირები ჩამოდიან, იმედია, მსოფლიოს თასის წამოღება არ დაავიწყდებათ" — ასეთი ლაკონურია „ტაგესშპიგელი".

„ბილდს" დავუბრუნდეთ. გაზეთმა მატჩისწინა ანონსში მკითხველს თავისი აზრი გააცნო, დღეს თუ მოგება გვინდა, მაშინ ფიოლერმა 4-4-2 სისტემით უნდა ათამაშოს გუნდიო და შემადგენლობაც დაასახელა: კარში კანი; მცველებად ოთხი კანი, ნახავარდაცვაც ამდენივე კანს ჩააბარა, თავდასხმაშიც ორი კანი გაამწესა და დაასკვნა, დიახაც, გამარჯვება თუ გვინდა, დღეს მოედანზე თერთმეტი კანი უნდა ვიხილოთო.

თერთმეტი კანი არა, მაგრამ მგონი, რაც იხილეს, არც იმით დარჩენილან გერმანელები უკმაყოფილონი, ყოველ შემთხვევაში, კომენტარებიდან ასე ჩანს. 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა პოლ ბრაიტნერმა აღნიშნა, ფინალში შედეგის გამო კი არ ვართ, არამედ, მართლაც კარგი თამაშის გამოო. უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმაც მოიწონა გერმანელთა თამაში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინესო.

აღსანიშნავია, რომ ბილდელები გერმანიის ნაკრების ამ წარმატებაში თავიანთ წვლილსაც აღნიშნავენ, ჩვენი ერთპფენინგიანი თავის როლს შეუდარებლად ასრულებსო. ამის თაობაზე ადრეც გწერდით, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ამ გერმანულ გაზეთს ბედნიერების მომტან თილისმად ერთპფენინგიანი შეურჩევია და უკრაინის ნაკრებთან გადათამაშებებით დაწყებული ყველა მნიშვნელოვან თამაშზე იყენებს. ჯგუფური ეტაპისას, ძირითადად კარის უკან აგდებდნენ, პარაგვაელებთან მატჩის დროს კი ფიოლერის სკამზე შეუმჩნეველ ადგილას იდო. მწვრთნელიც ფულზე იჯდა, მაგრამ ვერაფერი იგრძნო, იგი მთლიანად თამაშში იყო ჩაფლული. ამერიკელებთან მეოთხედფინალისას, ერთ კორეელ ბიჭუნას ჩააბარეს, რომელსაც თამაშის დაწყებამდე მოედანზე გერმანიის დროშის შეტანა ევალებოდა. კორეელებთან სეულის სტადიონზე მატჩისწინა ვარჯიშზე კი გაზეთის ჟურნალისტი ვოლფგანგ რუინერი ის-ის იყო, კუთხურის ალამთან მარხავდა მონეტას, რომ უეცრად პოლიციელი წაადგა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა. ჟურნალისტმა ყველაფერი აუხსნა. წესრიგის დამცველმა კი სათამაშო მოედანზე ფულის ჩამარხვა სად გაგონილაო და ჩამორთმევა დაუპირა

## გერმანია ფინალებში



1954. გერმანია — უნგრეთი 3:2



1966. ინგლისი — გერმანია 4:2



1974. გერმანია — ჰოლანდია 2:1

ეროვნული ბიბლიოთეკა





მიხაელ ბალაკი თითქმის შეუცვლელია, ოლივერ კანი კი ერთადერთია

როგორც ჩანს, რუინერს ასეთი ალბათობა გათვალისწინებული ჰქონდა და მომზადებულიც ყოფილა — წამომდგარა და ფული პოლიციელისთვის უსიტყვოდ მიუცია, ის კი გახარებული გაქცეულა და კოლეგებისთვის უხარებია, გერმანელებს თილისმა წავართვი და ფინალში ახლა ვინც გავა, ვიციო. „ბილდმა“ კი გერმანია დააწყნარა, ერთპფენინგიანი მინდორზე დავტოვეთ, პოლიციელი გავაცურეთ, რაღაც კორუული მონეტა მივეცითო. გაზეთი მკითხველს პირობას აძლევს, რომ თილისმა იოკოჰამაშიც მინდორზე იქნება.

საფინალო პროგნოზში კი გერმანელები თავშეკავებულნი არიან. ფეხბურთელები აღნიშნავენ, ფინალი იქნება ერთადერთი მატჩი ამ ერთი თვის განმავლობაში, რომელსაც ფსიქოლოგიური ზეწოლის გარეშე შევხვდებითო. ამის მიზეზი კი ის ყოფილა, რომ ფავორიტად ბრაზილია ითვლება.

ხუმრობის ხასიათზე მოსულა ფორმულა I-ის პილოტი, გერმანელი მიხაელ შუმახერი. როდესაც გერმანია — ბრაზილიის მატჩზე პროგნოზს დაეკითხნენ, ჩემპიონი ვინ გახდებაო, ვითომ ვერ გაიგო, რაზე იყო საუბარი და უპასუხა, მაგას რა კითხვა უნდა, ჩემპიონი მე გავხდები, ვერ ხედავთ, რამხელა სხვაობით ჩამოვიტოვე კონკურენტებიო.

წერილს კი ახალი გერმანული ანეკდოტით დავასრულებ: მდინარეში მცურავ, მტირალა იხვს ნიანგი ეკითხება, რატომ ტირიო. რაღა რატომ ვტირი, არც კი ვიცი ვინ ვარო, პასუხობს იხვი. როგორ არ იცი, ნისკარტი გაქვს, ფრთებიც, თანაც წყალშიც დაცურავ, ესე იგი იხვი ხარო — აუხსნის ნიანგი. შენ ვინღა ხარო, ჰკითხავს ახლა ფრინველი. აბა, გამოიცანიო, მიუგებს ნიანგი. იხვი შეხედავს და ეტყვის, მოკლე ფეხები გაქვს, პირი და ენა ძალიან დიდი, ტყავის ქურთუკი გაცვია და ფეხბურთის თამაშიც არ შეგიძლია, ჰოო, იტალიელი ყოფილხარო...

აშშ-ის ნაკრების თავდამსხმელ დონოვანს რომ ნახევარფინალში ერთი მომენტი მაინც გამოეყენებინა, ნეტავ გერმანელები მერე რაღას იტყოდნენ?



ფრანც ბეკენბაუერმა ფინალში სამი გუნდი გაიყვანა




# გერმანია ფინალებში



1982. იტალია — გერმანია 3:1



1986. არგენტინა — გერმანია 3:2



1990. გერმანია — არგენტინა 1:0

# კორეული ექსპრესი და მისი მემანქანე

## გუს ჰიდინკს ერთი პატარა ბინაც არ ეღირსა

**ჰოლანდიელი** გუს ჰიდინკი გმირია. მას კორეის ფეხბურთის ისტორია და მწვრთნელთა დღევანდელ ბაზარზე, მოწინავე მტკიცე პოზიცია უკავია, და, როგორც მოსალოდნელიც იყო, სამშაბათს, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გერმანიასთან მარცხმა ამ პოზიციას ვერაფერი დააკლო.

ამასთან, ჰიდინკი ის კაცია (ერთადერთი მსოფლიოში), რომელმაც, ოთხი წლის წინ მუნდიალის ნახევარფინალში ჰოლანდია გაიყვანა, წლეულს კი კორეა — ამ შედეგს განსაკუთრებულ ხიბლს სწორედ აზიელთა მოულოდნელი აღზევება მატებს.

მაგრამ, შაბათს, დეგუში, მესამე ადგილისთვის მატჩის შემდეგ ჰიდინკი თავისუფალია, კორეის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტის ვადა გადის. მერე რა იქნება? ცხადია, კორეული ფეხბურთის თავკაცები ყველა ღონეს იხმარენ ჰოლანდიელს ახალი ხელშეკრულება რომ დაადებინონ, მაგრამ ეს იოლი საქმე არ უნდა იყოს. კაცი, რომელმაც ოთხეულში მოხვედრის მერე ახალი კონტრაქტი საკუთარ სამშობლოს არ დაუდო, წესით მოხეტიალე ბუნებისა უნდა ბრძანდებოდეს. ამასთან, რაც ჰიდინკი კორეაში მუშაობს, ბინა ერთხელ არ უქირავია (ყიდვას ვინ ჩივის), მხოლოდ და მხოლოდ სასტუმროებში ბინადრობს — ეს რაღაცას ნიშნავს, არა?

გერმანიასთან წაგების შემდეგ ჰოლანდიელმა თქვა:

— ბიჭებით უნდა ვიამაყოთ. აქ, კორეაში, ხალხს დიადი შედეგის მოლოდინი ჰქონდა, მაგრამ ეს მთლად რეალური არ გახლდათ. მე ყველა ღონე ვიხმარე, რათა გუნდზე ზეწოლა არ მომხდარიყო. ბიჭები ერთ მუშტად შეიკრნენ, თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ისინი ალგილობრივ ჩემპიონატში თამაშობენ, ეს კი მაინც მეორეხარისხოვანი შეჯიბრებაა.

ერთი სიტყვით, ჰიდინკმა, რომელმაც იმ ქვეყნის ნაკრებს აქამდე ხუთ მსოფლიოს ჩემპიონატში რომ მიელო მონაწილეობა და ერთი თამაშიც ვერ მოეგო, დაამარცხებინა პორტუგალია, პოლონეთი, იტალია, ესპანეთი და ახლა სამსახურს ეძებს.

გარდა ზემოთქმულისა, რა წარმატებები ჰქონია ამ სპეციალისტს? ოთხმოციან წლებში, „პსვ ეინდჰოვენის" მწვრთნელობისას, მან ზედიზედ ოთხჯერ მოიპოვა ჰოლანდიის ჩემპიონის წოდება, 1988-ში კი ამ ტიტულს ზედ ეროვნული და ევროპის ჩემპიონთა თასები დაამატა, ხოლო ათი წლის შემდეგ, მადრიდის „რეალის" სათავეში ყოფნისას საკონტინენტთაშორისო თასი აღმართა.

ჰოლანდიურის გარდა, ინგლისურად და ესპანურად მოლაპარაკე პროფესიონალს, ცხადია, ევროპული სუპერკლუბებიც შესთავაზებენ თანამშრომლობას, მაგრამ (აქაც ეს მაგრამ), ჰიდინკისთვის გადამწყვეტი ხელფასის ზომაც არ უნდა იყოს. ფაქტია, კორეაში წასვლამდე მას საუდელი არაბები გაცილებით დიდ ანაზღაურებას ჰპირდებოდნენ, მან კი შორს დაიჭირა.

ასეა! ამასობაში კი კორეა ზეიმობს, თუმცა ეტყობა, რომ გულის სიღრმეში ოქროს თასზეც ოცნებობდა. გაზეთი „კორეა ტაიმსი" წერს:

„კორეული ექსპრესი რელსებიდან გადავიდა. ჰიდინკის გმირთა სამკვირიანი სვლა ძლევამოსილმა და ორგანიზებულმა გერმანულმა გუნდმა შეაჩერა".

საინტერესოა, რომ 48-მილიონიან ქვეყანაში, ხალხი, რომელიც ქუჩის ზეიმებს მეტისმეტად მიეჩვია, იმ დღეს უჩვეულოდ ჩუმად იყო. გაზეთები კი...

„კორეა ეკონომიკი": „ჩინებული ბრძოლა იყო! ტაბლოზე მხოლოდ და მხოლოდ ანგარიში იწერება. ჩვენ თავი დავდეთ!"

„დონგა ილბო": „კორეელები ერთსულოვანნი არასდროს ყოფილან. ჩვენ ახლა ვნახეთ, რა შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონატს".

ხოლო „სპორტ ჩოსუნი" უფრო შორს წავიდა:

„ოცნებას ოთხი წლის შემდეგ ავიხდენთ!"

**ბაჩუნა ძიძია**




კორეული გაზეთები ერთმანეთს ჰიდინკის ქებაში ეჯიბრებიან ...




... ჰოლანდიელი კი მომთაბარეობას განაგრძობს



# დახვედრა მეფური

**იტალიას** მიაჩნია, რომ მსაჯებმა დაჩაგრეს. ესპანელებსაც მსაჯობასთან აქვთ პრეტენზია. ორივე ნაკრებს შინისაკენ კორეამ გამოუწერა საგზური. მაგრამ, თუ იტალიელებს დიდი ზარ-ზეიმით არ დახვედრიან, ესპანელებზე იგივეს ვერ ვიტყვით.

კორეიდან 14-საათიანი ფრენის შემდეგ ხოსე ანტონიო კამაჩო და ესპანეთის ნაკრები, მადრიდში, „ბარახას" აეროპორტში დაეშვნენ.

გუნდს ათასობით თანამემამულე დახვდა, რომლებიც დროშებს აფრიალებდნენ და ფეხბურთელების სახელებს გაჰყვიროდნენ. „თქვენ ჩემპიონები ხართ" — ამასაც გასძახოდნენ ქომაგები.

განსაკუთრებული კომპლიმენტები ფერნანდო იეროს და ლუის ენრიკეს ხვდათ წილად. მოგეხსენებათ, ეს ორი ფეხბურთელი ნაკრებს დაემშვიდობა.

ასევე ყრიამულით შეეგებნენ ხოაკინს, რომელმაც საბედისწერო თერთმეტმეტრიანი ვერ შეაგდო.

ესპანელებმა ნაკრები კი მიიღეს ჩემპიონივით, მაგრამ კორეა — ესპანეთის ავადსახსენებელი მატჩის არბიტრი ჯამალ ღანდური თავისას ამტკიცებს, ჩემს საქმეში პირნათელი ვარ, შეცდომებს და ცოდვებს ნუ მომკითხავთო.

ამასობაში კი ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხოსე მარია ვილიარი, რომელმაც თანამემამულეთა გავარდნისთანავე ფიფას სამსაჯო კომიტეტი პროტესტის ნიშნად დატოვა, ესპანური ტელევიზიით სამსაჯო კომიტეტში ცვლილებების აუცილებლობაზე ალაპარაკდა.

„ასე არ შეიძლება. [illegible] ნახევარფინალს მიღმა [illegible] დატოვა. რაც მთავარია, ეს გამონაკლისი არ ყოფილა, ძალიან ბევრი გუნდი დაიჩაგრა მსაჯთა არაპროფესიონალიზმისა და არაობიექტურობის გამო. ამგვარ შემთხვევათა სიმრავლე კი სახიფათო კანონზომიერებაზე მიგვითითებს. ჩვენი კორეასთან მატჩი არაობიექტურობის მწვერვალი იყო — ორი არჩათვლილი, აქედან ერთ-ერთი „ოქროს გოლი". ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ სამი, ოთხი და მეტი გოლიც რომ გაგვეტანა, მაინც არ ჩაგვითვლიდნენ" — განაცხადა ვილიარმა. მისი თქმით, სამსაჯო კომიტეტში რაიმე უნდა შეიცვალოს, რადგან ყველაფრის ძველებურად დატოვება კიდევ უფრო უარეს შედეგს გამოიღებს.

**სერგი ძორიძე**




„მარკამ" მიხაელ ბალაკს კორეელთა გაგდებისთვის მადლობა გადაუხადა

# ანი ჩვენიანი

## პერუჯამ ტაქტიკურად დაიხია

**წლევანდელ** მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიელთა ოცნების მთავარი დამსამარებლის, სამხრეთკორეელი იუნგ-ჰვან ანის კლუბმა „პერუჯამ", როგორც მოგეხსენებათ, მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა. მის გაძევებას გუნდის პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი კატეგორიულად მოითხოვდა, მაგრამ გუშინ მან თავისი სიტყვები უკან წაიღო და განაცხადა: „ყოველგვარი გაუგებრობა წარსულს ჩაბარდა. სატელეფონო საუბრისას ჩვენ შევთანხმდით, რომ ყველაფერს დავივიწყებდით და მუნდიალის დასრულების შემდეგ იგი „პერუჯაში" გააგრძელებდა თამაშს, თანაც სათადარიგო ფეხბურთელი აღარ იქნება."

იუნგ-ჰვან ანი 2000 წლის ზაფხულში კორეული „პუსანიდან" გადაბარგდა აპენინებზე. იტალიური „გაძეტა დელო სპორტი" ეჭვის თვალით უყურებს გაუჩის მოულოდნელ გულის მოლბობას და თვლის, რომ ეს ფეხბურთელის სარფიანად გაყიდვისთვის წარმოებული კამპანიაა. აზიელს მთხოვნებლები უკვე გამოუჩნდნენ „მანჩესტერ სიტის" და „ჩელსის" სახით, მაგრამ მათზე სერიოზული წინადადებით ლონდონური „ვესტ ჰემი" აპირებს იტალიელთა შეწუხებას. ალბიონელები მზად ყოფილან, „პერუჯას" 10 მილიონი ევრო ჩაუთვალონ.

**ზურაბ რუხაძეშვილი**



იტალიასთან ამ საგოლე თავურის მერე იუნგ-ჰვან ანის ფასმა (№19) ერთიორად აიწია

# ფიფამ ფარი აიფარა

**მუნდიალზე** უხარისხო მსაჯობამ არაერთი გუნდი განარისხა. დაჩაგრულებს დამნაშავე დიდხანს არ უძებნიათ, ყველამ ერთბაშად ხელი ფიფასკენ გაიშვირა. განსაკუთრებით კი მსაჯებს კორეელთა მიმართ სიმპათიაში ადანაშაულებენ.

ფიფას პრეზიდენტი, ცხადია, ბრალდებას უარყოფს. კორეის სასარგებლოდ რაიმე შეთქმულებას ადგილი არ ჰქონიაო, განაცხადა ზეპ ბლატერმა.

ფიფას მსაჯთა კომიტეტის თურქმა თავმჯდომარემ შენეს ერზიკმაც პრეზიდენტს კვერი დაუკრა: „სპორტის ზოგიერთ სახეობაში კორუფციის ფაქტები ნამდვილად გამოვლინდა, თუმცა ფეხბურთი მსგავსი სიბინძურისგან მაქსიმალურად დაცულია. ეს რომ ასეა, იცის ყველამ, ვინც ჩვენ სისტემაში მუშაობს."

შენეს ერზიკს მიაჩნია, მსაჯობის წინააღმდეგ ისტერიის გაღვივებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებია დამნაშავეო. მისი აზრით, ამ ჩემპიონატზე მსაჯობა მთლიანობაში დამაკმაყოფილებელია.

ზეპ ბლატერმა კი ერთხელაც დაადასტურა, ასეთი დონის შეჯიბრებებზე ექსპერიმენტებს აღარ მივმართავთო: მატჩს ერთი ქვეყნის მსაჯთა ბრიგადა უნდა მოემსახუროს, რომელთაც საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილებაც ექნებათო.

**გაგა ხუციშვილი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა



არბიტრის ამოღებულმა ბარათმა გერმანიის გული მოუკლა

# უბალაკოდ

**ფინალში** გერმანიის ნაკრები დისკვალიფიცირებული პლეიმეიკერის, მიხაელ ბალაკის გარეშე ითამაშებს. ბალაკმა მეორე ყვითელი ბარათი კორეასთან ნახევარფინალში მიიღო და გადამწყვეტ მატჩსაც ამად გამოტოვებს. სეზონის ბოლოს ტრავმებით გაწამებულ ლევერკუზენელს წლევანდელ მუნდიალზე ჩვეული ცეცხლი აკლდა, თუმცა უმეტეს შემთხვევებში გამაყუჩებლებით თამაშობდა და რაღა გასაკვირია, რომ ჩვეულად ვერ გამოირჩა. ყველაფრის მიუხედავად, ბალაკი ბუნდესნაკრებისთვის მაინც მთავარი ფიგურაა — კორეელებსაც ხომ მისი ერთადერთი გოლით მოუგეს — ამიტომ კვირას რუდი ფიოლერის გუნდს დიდი ძალა დააკლდება.

მსგავსი შემთხვევები წინა ჩემპიონატებზეც მომხდარა. 1998-ის ფინალში ფრანგთა მცველმა ლორან ბლანმა ვერ ითამაშა, ვინც ხორვატიასთან ნახევარფინალში გააძევეს. ოთხი წლით ადრე ბრაზილიასთან გადამწყვეტ მატჩში იტალიელებს ასევე ორგაფრთხილებიანი ალესანდრო კოსტაკურტა დააკლდათ, 1990-ის ფინალში კი არგენტინელებს ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი ჰყავდათ დისკვალიფიცირებული, მათ შორის იყო კლაუდიო კანიჯაც, რომელმაც იმ ტურნირზე არგენტინელთა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

**სოლომონ გულისაშვილი**

# ჩემი ცუდი მირჩევნია სხვის კარგს...

**ნიგერიის** პრეზიდენტმა ოლუსეგუნ ობასანჯომ თქვა, ეროვნული გუნდის მწვრთნელად უცხოელის მოწვევა არ მსურსო. თუ ადგილობრივ სპეციალისტებს უკეთ მოვამზადებთ, ისინი აუცილებლად გაამართლებენო. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მუნდიალის შემდეგ გადამდგარ ადეგბოიე ონიგბინდეს ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ დაბრუნება და 2004 წლის აფრიკის თასისთვის გუნდის მომზადება სთხოვა. ონიგბიდეს თქმით, მას უკვე შეუდგენია ნაკრების კანდიდატთა სია, ხოლო ფედერაციასთან კონტრაქტს ორი წლით გააფორმებს.



ნიგერიელებს კორეა-იაპონია ჩაუთვლეს

საერთოდ ნიგერიელებისთვის უცხო მწვრთნელი ახალი ხილი სულაც არ იქნებოდა. 1980 წელს მათ ბრაზილიელი ოტო გლორია მოძღვრავდა, აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოლანდიელი კლემენს ვესტერჰოფი, წინა მუნდიალზე მათთან ბორა მილუტინოვიჩი მუშაობდა, ხოლო მოგვიანებით იაპონელთა ახლანდელი თავკაცი ფილიპ ტრუსიეც ავარჯიშებდა. ნიგერიული ფეხბურთიც მსოფლიომ ამ წლებში გაიცნო, თუმცა, ახლა, ჩანს, სხვა გზით წასვლა არჩიეს.

საინტერესოა, რომ ამ დღეებში ქვეყნის პრეზიდენტმა ეროვნული გუნდის პატივსაცემად ბანკეტი გამართა, რომელსაც არც ერთი ფეხბურთელი არ დასწრებია. ოფიციალური პირების განცხადებით, მოთამაშეები კლუბებმა არ გაანთავისუფლეს, თუმცა უფრო სარწმუნო ის ვერსიაა, რომ ფეხბურთელებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლისთვის კუთვნილი პრემია არ მიუციათ და ბოიკოტიც ამას გამოუწვევია. პრეზიდენტი ობასანჯო კი მომხდარს დიდად არ აუღელვებია და უთქვამს: ნაკრების კორეა-იაპონიაში გამოსვლით გაწბილებულნი სულაც არ ვართ. კარგად გვესმის, რომ არ გაუმართლათ. მომავალში ყველაფერი საჩვენოდ მობრუნდება, მთავარია კარგი მომზადება, ლოცვა და იღბალიცო.

შეგახსენებთ, რომ „სიკდილის ჯგუფში“ მოხვედრილმა ნიგერიამ არგენტინასთან და შვედეთთან წააგო, ინგლისთან უგოლო ფრე ითამაშა და მერვედფინალს მიღმა დარჩა.

**სოლომონ გულისაშვილი**



ესენი ბანკის გაძარცვას აბა, როგორ შენიშნავდნენ

# მრუდე თუ გაქვს ხელი

**80-იანი წლების** დასაწყისში ერთი ასეთი ქართული ტელესპექტაკლი იყო. 13 მაისია, ოჯახი „დინამო“ — „კარლ ცაისის“ ფინალს უყურებს და ისეა ჩაფლული თამაშში, ვერც კი შეამჩნევენ როგორ შეეპარებიან მძარცველები და იქაურობას მოასუფთავებენ, მაგრამ ფეხბურთი ავისმქნელებსაც დააინტერესებთ და წასვლას აღარ ჩქარობენ, „დინამო“ მოიგებს და გახარებული მასპინძელ-„სტუმრები“ ერთმანეთს ჩაეხვევიან და ბედნიერი ბაცაცები ნაძარცვსაც უკლებლივ დააბრუნებენ.

სამშაბათს ბერლინის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე დიდი ტელეეკრანი დაედგათ და ხალხი კორეა — გერმანიის მატჩს უცქერდა. როცა ბალაკმა გაიტანა, ისეთი ხმაური და ცეკვა-თამაში ატყდა, ვერავინ შეამჩნია, როგორ შევიდა მძარცველი იქვე მდებარე ბანკში და სეიფი გამოაცარიელა. ქურდი ბანკიდან თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე გამოსულა, ცხადია, ის არავის დაუნახავს, მაგრამ მარჯვე პოლიციას ცოტა ხანში მაინც დაუჭერია. ბერლინის ქუჩებში კი ზეიმი კარგა ხანს არ შემწყდარა.

**სოლომონ გულისაშვილი**

# მსაჯს მივუმატოთ მსაჯი

**უეფას** გენერალური მდივნის, გერჰარდ აიგნერის აზრით, დროა, მოედანზე ერთის ნაცვლად ორი მსაჯი მუშაობდეს. „ეს ძალიან ბევრ პრობლემას აგვაცილებდა თავიდან. თანამედროვე ფეხბურთში ერთი მსაჯი უბრალოდ, ფიზიკურად ისე იღლება, რომ უნებლიედ საკმაოდ მძიმე შეცდომებს უშვებს. სწორედ ეს ხდება ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე“ — განაცხადა აიგნერმა.

უეფას დიდჩინოსნის აზრით, სანამ სადავო ეპიზოდების ვიდეოჩანაწერებით გარჩევა დაკანონდება, ჯერ ადამიანური რესურსებია ამოსაწური: სამწუხაროდ, ორი მსაჯის საკითხს აქამდე სერიოზულად არ მივდგომივართ, არადა, ეს იდეა საკმაოდ საინტერესოაო — განაცხადა აიგნერმა.



გერჰარდ აიგნერი



გადაჭრილი ავტობუსის ნაცვლად, სამშობლოში დაბრუნებული სენეგალელები კაბრიოლეტებში ჩასვეს

# მოვედი, რათა გული გადაგიშალოთ

**აფრიკის** სავიზიტო ბარათი, სენეგალის ნაკრები სამშობლოს დაუბრუნდა. აეროპორტი დროშებით იყო მოფენილი. ნაკრებს თვით ქვეყნის პრეზიდენტი და მინისტრები დახვდნენ.

სენეგალელებმა პირველი ცდიდან დაიპყრეს მეოთხედფინალი და უამრავი ქომაგის გული. ისინი ნამდვილად იმსახურებდნენ იმას, რასაც მიაღწიეს.

სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა აბდულაიე ვადემ: „პირადად მოვედი აქ იმისთვის, რომ ფეხბურთელებს მადლობა გადავუხადო. მეოთხედფინალში გასვლა ბრწყინვალე შედეგია. ჩვენმა გუნდმა თვით მსოფლიოს ჩემპიონიც კი წააქცია.“

**გაგა ხუციშვილი**

# ნახევამდის პირდაპირ ეთერში

**„ფეხბურთის** ფედერაცია ვეღარ გააგრძელებს მუშაობას ანტონიო ოლივეირასთან. მისი დარჩენის შესაძლებლობა გამორიცხულია“ — განაცხადა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟილბერტო მადაილმა.

მოგეხსენებათ, ოლივეირამ თავად მიმართა ფეხბურთის ფედერაციას გადადგომის მოთხოვნით (კონტრაქტი 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ უმთავრდება) და, როგორც მოსალოდნელი იყო, არც ფედერაციამ ისურვა მასთან მუშაობა. მადაილმა პრესკონფერენციაზე, რომელსაც პორტუგალიის თითქმის ყველა ტელე და რადიო არხი პირდაპირ ეთერში გადასცემდა, განაცხადა, რომ ოლივეირას ფაქსი გაუგზავნა, სადაც ურჩევს, ყველაფერი მეგობრულად დაასრულონ. „მისი პასუხი ჯერ არ ვიცი, თუმცა არა მგონია, პრობლემა შეგვექმნას. ოლივეირა ამჟამად უცხოეთში იმყოფება და მისმა პასუხმაც ამიტომ დააგვიანა“ — დასძინა პრეზიდენტმა.

ქირავდება აგარაკი კოჯორში
წაიყვანეთ ბავშვები,
უკეთეს ადგილს სად ნახავთ
ფასი არ შეგაშინებთ
ტ: 899 91-66-11; 29-35-80 (საღამოს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 26 ივნისი

# ბლატერის ქილერები



იოზეფ ბლატერმა ორი ქილერი დაიქირავა

უცებ რომ ატყდებიან და განსაკუთრებით სათასო გათამაშებებში ზედიზედ მიაწვენენ დიდ და განთქმულ გუნდებს.

და რამდენი გოლიათთა მკვლელი აღმოჩნდა იაპონიასა და კორეაში?

კარგად რომ მივთვალ-მოვთვალოთ, ორი, სენეგალი და სამხრეთ კორეა.

პირველმა მსოფლიოს ჩემპიონებს მოუგო, მეორემ კი ზედიზედ დაამარცხა სამი ევროპული დიადი, პორტუგალია, იტალია და ესპანეთი. აქედან, პორტუგალია ნამდვილად არ იყო გოლიათი, ესპანეთი მხოლოდ ჩამოჰგავდა გოლიათს, იტალიელებს კი თავიანთმა გოლიათმა თავდამსხმელმა, კრისტიან ვიერიმ ვერ უშველა. სხვა გოლიათმა, საფრანგეთის ნაკრებმა საერთოდ ვერ გაიტანა გოლი მსოფლიოს ჩემპიონატზე. ამიტომ, საფეხბურთო დავითებისა და გოლიათების შერკინება ცოტა უცნაური გამოვიდა.

გოლიათთა მკვლელობა არ ყოფილა ამ ჩემპიონატის მთავარი ამბავი, თუნდაც იმიტომ, რომ სამოსი და სახელები რომ არა, გოლიათს და მის მკვლელს ვერც კი გაარჩევდი. ამიტომაც, არ ჩაითვლება ამერიკელთა მიერ პორტუგალიის ძლევა გოლიათის მკვლელობად. გოლიათის მკვლელობა აღარც ის იქნებოდა, გუშინ გერმანელებისთვის რომ კორეელებს მოეგოთ. იქნებოდა ეს ამბავი მოულოდნელი და წარმოუდგენელი? არ იქნებოდა. გოლიათის მკვლელობა ის იქნებოდა, საუდელებს რომ გერმანელები დაემარცხებინათ.

ამ ჩემპიონატზე ძალიან ბევრი საშუალო გუნდი იყო. აქ არავის უჩვენებია ისეთი თამაში, თუნდაც ოთხი წლის წინათ ფრანგებმა, ბრაზილიელებმა, ჰოლანდიელებმა რომ უჩვენეს. არც გუნდები ყოფილან ასეთები. სამაგიეროდ, იყვნენ საშუალო, კარგად აწყობილი, ნასწავლი გუნდები, რომლებიც საუცხოოდ თამაშობდნენ, ოღონდ, ისე გამოვიდა, რომ დიდი გუნდების დიდი მატჩი არ გამართულა. წინა ჩემპიონატზე კი რამდენიმე ასეთი იყო.

## შუადღე

დიდი გუნდების დიდ მატჩად უკვე დასახულია ფინალი. ახალი საუკუნის ახალი ფინალი, სადაც გერმანია უკვე ელის, რა თქმა უნდა, ბრაზილიას. დიახ, სწორედ რომ ბრაზილიას, რომელსაც არასოდეს შეხვედრია მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში. ამიტომაც ამბობენ, ასეთი ფინალი მოუხდება ახალ საუკუნეს და ძლივს დიდ თამაშს ვნახავთო. სიმართლე ითქვას და არა მხოლოდ ამიტომ. მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში, 1950 წლიდან მოყოლებული, მხოლოდ 1978 წლის გამოკლებით, ფინალში ან გერმანია თამაშობს, ან ბრაზილია. პირველი სამგზის ჩემპიონია, მეორე — ოთხგზის. ახლა კიდევ, ისე გამოდის, რომ ადვილი შესაძლებელია, ერთმანეთს შეხვდნენ.

ამის მიუხედავად, სიფრთხილეა საჭირო, რათა იმ დღეში არ აღმოჩნდეთ, ბრაზილიელი ერი რომ აღმოჩნდა იმავ 1950 წელს, როცა სასაცილოდ აიგდო ურუგვაის ნაკრები, რომელთანაც გადამწყვეტ მატჩში ფრეც ჰყოფნიდა.

მსოფლიოს ჩემპიონატს უყვარს ამგვარი ამბები. უნგრეთის დიდი გუნდი, ალბათ, ყველაზე დიდი გუნდი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში, დამარცხდა ამ ჩვენს, მაშინ არცთუ სახელიან, გერმანიის ნაკრებთან, რომელიც ჯგუფში გაანადგურა.

ამიტომ, თურქებს, რომლებიც უკვე შეხვდნენ ბრაზილიელებს და დამარცხდნენ მათთან, ერთგვარად ეხმარება მსოფლიოს ჩემპიონატის ისტორია.



ლუიშ ფელიპე სკოლარიმ შენოლ გიუნეში ფინალისკენ არ გაახედა



## თამაშის წინ

ქორქმაზი ნიშნავს უშიშარს და უმითი ნიშნავს იმედს.

ასეთია თურქთა განწყობა. თურქთა იმედი მისტიკურიც არის და რეალურიც, თუმცა, ბრაზილიელები ფავორიტები არიან. რა უნდა დაუპირისპიროს შენოლ გიუნეშმა ბრაზილიელებს?

პასუხი მოკლეა — დისციპლინა და დახურული თამაში. სხვა შანსი პატივცემულ შენოლს არა აქვს, რადგან ამ გუნდების პირველ მატჩში, რომელიც ბრაზილიელებმა არარსებული პენალტით მოიგეს, ტეტრაკამპიონების შანსი სწორედ თურქთა წამიერი მოდუნებანი იყო.

თურქეთის ნაკრებს აქვს ერთი ცუდი თვისება, მათი თამაში გაიდღაბნება ხოლმე და, როცა ვერაფერს გააწყობენ, მხოლოდ უხეშობაღა რჩებათ.

ამ ჩემპიონატზე თურქები არ გადღაბნილან, მეოთხედფინალში კი თავიანთი საუკეთესო თამაში გვიჩვენეს.

თურქთა პლუსი მათი უტეხობაცაა. რომც გაიდღაბნონ და თამაში ვერ ააწყონ, თურქები არ ჩერდებიან. შენოლ გიუნეშს სწორედ იმას უთვლიან პლუსად, რომ თურქები გუნდად შეკრა და ბურთის თრევას და სხვა ამგვარ სისულელეებს გადააჩვია.

და რასა იქმს „დიდი ფილი"?

პროვინციიდან მოსული კაცი ინგლისელების დამარცხების შემდეგ გმირად წარმოდგა. „დიდი ფილი" მშვენიერი ტაქტიკოსი ყოფილაო, აჭრელდა გაზეთები. „დიდ ფილს" ბადალი არა ჰყავს იმაში, რაც იცის, ანუ იმ თამაშში, რომელიც მისი საავტორო დამღითაა ცნობილი.

მგონია, რომ სწორედ ნახევარფინალში, „დიდი ფილი" შეეცდება თავისი მკაცრი და დამანგრეველი ტაქტიკის გამოყენებას. ინგლისელებთან შეხვედრის მეორე ნახევარში სკოლარიმ გაილაღა, რადგან მისმა გუნდმა სწორედ ის შეძლო, რაშიც ეს მწვრთნელი ფრიადოსანია. ახლა „დიდი ფილი" უფრო მტკიცე და უფრო დარწმუნებული იქნება, მისი დაცვის ცენტრის გარღვევა, როცა ბრაზილია თავს იცავს, ძალიან ძნელია. თუმცა, აკლია თავდასხმის შემკვრელი, პატარა რონალდო-რონალდინიო, სკამზე იჯდება. დიდი რონალდო კი კვლავაც რჩება სკოლარის მთავარ იმედად.

## შესვენებისას

რონალდინიო აშკარად მოუხდებოდა ამ თამაშს, რომლის მეორე ტაიმის წინ ბრაზილიელებს მაინც აქვთ სანერვიულო. თურქები მოკლე სამკუთხედებით და კვადრატებით ცდილობენ მოედნის შუაგულის გადალახვას, ბრაზილიელებს კი აშკარა უპირატესობა მაშინ აქვთ, როცა წინ ორ-სამ ნაბიჯიან სივრცეს დალანდავენ და სისწრაფის მომატების საშუალება ეძლევათ. რონალდო ხასიათზე ვერ ჩანს, არ არის ისეთი ცინცხალი, ჯგუფურ მატჩებში რომ იყო, ეტყობა ტრავმა, ინგლისელებთან მატჩში რომ შეახსენა თავი, კვლავაც ცოცხალია. ეს ხომ მუდმივი ტრავმაა... ამის მიუხედავად, მის ერთ მოქნევას მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია.

საინტერესო კი ეს არის, როდის დაიღლებიან ჰასან შაში და ბაშთურქი?

## ფინალში

აჰა, ახალი საუკუნე და ახალი ფინალიც. ერთმანეთს ხვდებიან ისინი, ვინც სულ ფინალშია და ვინც არასოდეს გადაყრია ერთმანეთს ამ ფინალში.

აჰა, ეგეც მონბლანი და ეგეც რონალდოს გარღვევა, რბილი და ძალიან რბილი. ისე გაიტანა, თითქოს ბურთს იშორებსო.

თურქებმა კი, რაც რამ ხიდი აქვთ, ყველას ჰასან შაშის სახელი უნდა დაარქვან. ბოსფორის ხიდსაც.

ერთიც ისაა, რომ ნახევარფინალები ერთმანეთს ჰგავდა.



რონალდინიომ თანაგუნდელებს სათადარიგოთა სკამიდან უქომაგა

## დიღლა

იოზეფ ბლატერი კმაყოფილია, მას მოსწონს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი იმგვარ ტურნირად გადაიქცა, სადაც დიდ გუნდებს არაფრის გარანტია აქვთ. ანუ, თუ დიდი და სახელიანი გუნდი მართლაც ძალიან კარგად და სწორად არაა მომზადებული, მსოფლიოს თასისთვის ბრძოლაში ვერაფერს გააწყობსო.

ამგვარი ჯაიანთ ქილერული ვითარება მოსწონს ბატონ ბლატერს და ამბობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის გუნდების დონის გათანაბრებისთვის ბევრი გააკეთა სეპ ფიაო ავლანჟმა, ახლა კი თავად ბლატერი ილვწის ამგვარი რამისთვის.

მოგეხსენებათ, ჯაიანთ ქილერი არის ცნობილი საფეხბურთო ტერმინი, რომელიც სიტყვასიტყვით გოლიათთა მკვლელად მოითარგმნება და ჯაიანთ ქილერებს უწოდებენ პატარა გუნდებს,



ჰასან შაში დაიღალა





თურქებს ბრაზილია ყელში გაეჩხირათ





ლუიშ ფელიპე სკოლარი და რონალდო: შენ, ჩემო დიდო იმედო...

**საგანგებო ლოზუნგი**

**არ ყოფილა, ახლა იქნება!**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ივნისი | | | | | | | | | |
| 16.00 | 1163 | კორეა-თურქეთი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| | | 30 ივნისი | | | | | | | | | |
| 16.00 | 1164 | ბრაზილია-გერმანია | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |

## მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში

# კროკო

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს

**სამუშაო საათები 9⁰⁰ — 19⁰⁰**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

## ნებისმიერ ბიუროში

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ფინეთი. XII ტური. | | | | | | |
| | | 26 ივნისი | | | | | | |
| 20.30 | 030 | კუოპიო-მიუპა | 3,6 | 3,3 | 1,8 | 1,7 | 1,1 | 1,15 |
| | | 27 ივნისი | | | | | | |
| 20.30 | 031 | ჰამეენლინა-ალიანსი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 20.30 | 032 | ჰჯკ-ჰაკა | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 20.30 | 033 | იარო-ვაზა | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 20.30 | 034 | ლახტი-ინტერი | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 20.30 | 035 | ტამპერე-ვაასა | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი | | | | | | |
| | | მატჩი მესამე ადგილისთვის | | | | | | |
| | | ძირითადი დრო | | | | | | |
| | | 29 ივნისი | | | | | | |
| 16.00 | 163 | კორეა-თურქეთი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი | | | | | | |
| | | ფინალი | | | | | | |
| | | ძირითადი დრო | | | | | | |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 16.00 | 164 | ბრაზილია-გერმანია | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,1 | 1,3 | 1,7 |

### I ტაიმის შედეგი

29 ივნისი

16.00 1063 კორეა-თურქეთი 2,8 2,1 3,3

30 ივნისი

16.00 1064 ბრაზილია-გერმანია 2,4 2,0 4,4

### რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

29 ივნისი

16.00 2063 კორეა-თურქეთი ---------- 1,65 ---------- 1,85

30 ივნისი

16.00 2064 ბრაზილია-გერმანია ---------- 1,65 ---------- 1,85

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

---------- კი ---------- არა

29 ივნისი

16.00 2163 კორეა-თურქეთი ---------- 1,75 ---------- 1,75

30 ივნისი

16.00 2164 ბრაზილია-გერმანია ---------- 1,75 ---------- 1,75

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირითადი დრო)

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

29 ივნისი

16.00 2263 კორეა-თურქეთი ---------- 1,8 ---------- 2,0

30 ივნისი

16.00 2264 ბრაზილია-გერმანია ---------- 1,7 ---------- 2,2

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ივნისი | | | |
| 16.00 | 2963 | კორეა-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 30 ივნისი | | | |
| 16.00 | 2964 | ბრაზილია-გერმანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

29 ივნისი

16.00 3963 კორეა-თურქეთი ---------- 1,65 ---------- 2,0

30 ივნისი

16.00 3964 ბრაზილია-გერმანია ---------- 1,4 ---------- 2,5

### ჩემპიონი

30 ივნისი 16.00

3651 ბრაზილია ---------- 1,4

3655 გერმანია ---------- 2,5

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

### კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| თბილისი | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| თბილისი | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| თბილისი | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| თბილისი | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| თბილისი | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| თბილისი | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| თბილისი | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| თბილისი | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| თბილისი | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| თბილისი | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| თბილისი | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| თბილისი | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Г კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| ქუთაისი | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| ქუთაისი | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანელის დასახლება |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| გორი | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| რუსთავი | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| ბათუმი | ერის ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| ბათუმი | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| ბათუმი | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ბათუმი | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| ბათუმი | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

# მომხდარი და მოსახდენი ამბები

## ლადო მედეას სილამაზემ დაიპყრო, ჩივაძე ბურდულის სისწრაფემ, შუშაკს კი წინასწარმეტყველის იმიჯი ემანჭება



თბილისის „დინამოს" არდადეგები დაუმთავრდა და შვებულებიდან დაბრუნებული დღეს შეიკრიბება დილმის ბაზაზე.

„დინამო" დღეს ყველაზე შეძლებული კლუბია საქართველოში და ახლა მხოლოდ ძველი დიდების დაბრუნებისთვის მართებს გარჯა.

გუნდიდან არავინ წასულა, დამდეგი სეზონისთვის ყველანი „დინამოში" დარჩებიან, მათ შორის ლადო ბურდულიც. თუ გუშინდელი „სარბიელი" წაიკითხეთ, ნახავდით, რომ საქართველოს წინა ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ტორპედოელი მალხაზ ასათიანი გახდა, მეორე ადგილი კი ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად ლადო ბურდულს ერგო.

გასულ სეზონში ლადომ ეროვნულ ნაკრებშიც წარმოაჩინა თავი. ის ალექსანდრე ჩივაძის გუნდის ერთ-ერთი ნათელი წერტილია, ივო შუშაკმა კი თქვა, ცოტაც და, ლადო ევროპული დონის მოთამაშე იქნებაო. თუმც ლადო ბურდულს ჯერაც გვარიანი შრომა მართებს შუშაკის წინასწარმეტყველება რომ ასრულდეს.

**— გასული სეზონი არცთუ ერთგვაროვანი გამოდგა შენთვის — ჩემპიონატის პირველ ეტაპზე თითქოს უკეთ გამოიყურებოდი, გუნდის თამაშს წარმართავდი, გაზაფხულიდან კი ისე ვეღარ ბრწყინავდი...**

— პირველ ეტაპზე, როცა გუნდს გივი ნოდია წვრთნიდა, სხვა პოზიციაზე ვთამაშობდი. ფაქტობრივად, მარჯვენა გარემარბი ვიყავი და უკან ჩამოსვლა არ მევალებოდა. შუშაკის მოსვლის შემდეგ კი სუფთა ნახევარმცველი გავხდი, საყრდენის პოზიციაზე მიწევდა თამაში.

**— ესე იგი, ყველაფერი პოზიციის შეცვლამ განაპირობა?**

— „დინამოს" სათამაშო სტილი სისწრაფეს ეყრდნობა, დაცვიდან შეტევაზე სწრაფ გადასვლას. როცა ასეთ დროს ფლანგზე გიწევს თამაში, ჩემნაირი ფეხბურთელისთვის ეს უფრო მეტ შესაძლებლობებს იძლევა თავის წარმოსაჩენად. ამის შესახებ შუშაკს ვესაუბრე მაგრამ მან მითხრა, სადაც გეტყვი, იქ უნდა ითამაშოო. არადა, ალექსანდრე ჩივაძეს სწორედ მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე ვჭირდები. სამხრეთ აფრიკასთან ამხანაგურ მატჩში მან სასტარტოში დამაყენა ამ პოზიციაზე, მაგრამ კარგად ვერ გავართვი თავი ამოცანას, რადგან „დინამოში" სხვა ადგილზე თამაშის გამო მარჯვენა ნახევარმცველისთვის საჭირო ალღო დაკარგული მქონდა, საჭირო კონდიცია არ აღმომაჩნდა. თუმც უკრაინასთან შეხვედრაში წამივიდა თამაში.

ერთი სიტყვით, ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ურიგოდ მართლა ამ მითამაშია, გაზაფხულზე უფრო მეტი გოლიც გავიტანე. მართალია, გუნდის თამაშის წარმართვისას ისე ველარ ვჩანდი, მაგრამ „დინამოში" ხომ გიორგი ანჩაბაძე და ალეკო გოგობერიშვილი მოვიდნენ.

**— ლადო ერთ წელიწადში ევროპული დონის ფეხბურთელი გახდებაო — შუშაკის ამ ნათქვამიდან ნახევარი წელი თითქმის უკვე მიილია და როგორ ფიქრობ, ახდება ბატონი ივოს ეს წინასწარმეტყველება?**

— დაკარგვით ნამდვილად არაფერი დამიკარგავს, ყველაფერი ნელ-ნელა, თავის გზით მიდის. გასული სეზონი ოდნავ უკეთ ჩავატარე, ვიდრე წინა და 12 გოლი გავიტანე. სულ ისე იყო, რომ სეზონიდან სეზონამდე ვუმატებდი. ვფიქრობ, „დინამოს" და მე კარგი სეზონი გვქონდა, მაგრამ ჩემპიონები მაინც ვერ გავხდით. მეც და მთლიანად გუნდსაც უკეთ შეგვეძლო თამაში, მაგრამ რაღაც დაგვაკლდა.

**— „დინამომ" ჩემპიონატის მეორე ეტაპიდან მართლაც ძალიან მოუმატა, ჩემპიონობის კარგი შანსიც გქონდათ, მაგრამ ბოლო ორი პრინციპული შეხვედრა სტუმრად ვერც „ლოკომოტივს" მოუგეთ და ვერც „ტორპედოს"...**

— ძალიან ცუდი კალენდარი გვქონდა — ბოლო ტურის მატჩი სტუმრად ქუთაისში. მართალია, „ლოკომოტივმა" შეძლო ქუთაისში „ტორპედოს" დამარცხება, მაგრამ ჩვენ ქუთაისში თამაშმა საჩემპიონო ბრძოლის კულმინაციის დროს მოგვიწია. თანაც, ხომ ყველამ ვიცით, რა ხდებოდა და რა ვითარება იყო მაშინ ქუთაისში, მუქარაც კი გაისმოდა ჩვენი მისამართით, მაგრამ არაფრის შეგვშინებია. იმ მატჩში ყველაზე ცუდი შედეგი ჩვენთვის ფრე იქნებოდა, მაგრამ დავმარცხდით. არადა, მეორე ტაიმში „ტორპედო" ცენტრს აქეთ არ გადმოსულა, ფიზიკურად და ტაქტიკურად უკეთ გამოვიყურებოდით, პენალტი კი ჩვენ კარში დასანიშნი არ იყო.

**— გასაგებია, მაგრამ ტორპედოელმა მალხაზ ასათიანმა იმ მატჩის მეორე ტაიმში რამდენიმე რეიდის განხორციელება მაინც შეძლო და დანიშნული საეჭვო 11-მეტრიანიც სწორედ მის გარღვევას მოჰყვა...**

— არ არსებობს, რომ გუნდი ერთხელ მაინც არ შეცდეს, ეს ფეხბურთია. ხოლო ასათიანი რომ მაგარია, ეგ ყველამ ვიცით. ეს ფეხბურთელი ძალიან მომწონს და მოხარული ვიქნები თუ ჩვენს გვერდით ითამაშებს „დინამოში". ქუთაისის „ტორპედო" კარგი გუნდია, კარგი ფეხბურთელებიც ჰყავს, განსაკუთრებით დაცვაში, მაგრამ შეტევაში ერთადერთი ასათიანი იყო, ვინც ხიფათს გვიქმნიდა.

**— როგორ ფიქრობ, მომდევნო სეზონში „დინამოს" აღარ გაუჭირდება ჩემპიონობა?**

— ვერ ვიტყვი არ გაუჭირდება-მეთქი, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ თუ წინა სეზონის თამაშს შევინარჩუნებთ, ჩემპიონებიც ჩვენ გავხდებით.

**— ევროპულ სარბიელზე როგორ იქნება საქმე — ბატეს რანგის გუნდებთან აღარ შერცხვებით?**

— მე პირველ ორ თამაშს გამოვტოვებ, რადგან შარშან ბატესთან მატჩში უსამართლოდ გამაძევეს. იმედი მაქვს, ტალინს მოვუგებთ. ისე კი ძალიან გვინდოდა კვლავ ბატეს შევხვედროდით და ძალები მოგვესინჯა — მიმაჩნია, რომ ბატეს ბარიერის გადალახვა ამჯერად არ გაგვიჭირდებოდა.

**— ეროვნულ ნაკრებში როგორ უყურებ შენს პერსპექტივას?**

— გააჩნია როგორ ფორმაში ვიქნები. თუ სათანადოდ მოვემზადე, დარწმუნებული ვარ, ალექსანდრე ჩივაძე გამომიძახებს.

**— შენს ასეთ თავდაჯერებულობას ალბათ, ისიც აძლიერებს, რომ მარჯვენაფლანგელის პოზიციაზე სხვა კანდიდატურა ფაქტობრივად არ არის.**

— არის ეს ფაქტორიც, მაგრამ ცქიტიშვილმა ხომ ბრწყინვალედ ითამაშა ამ პოზიციაზე თბილისში უნგრეთის წინააღმდეგ. მარჯვენა ფლანგზე ქეცბაიასაც შეუძლია ძლიერად ითამაშოს, ნურც ედიკ საჯაიას გამოვრიცხავთ.

**— კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზე სერიოზულად ჯერ არ ფიქრობ?**

— კონტრაქტი „დინამოსთან" კიდევ ერთი წლით მაკავშირებს. როგორც ჩემმა აგენტმა მითხრა, „დინამოს" არ უნდა ჩემი გაშვება და ჯერჯერობით არც მე ვჩქარობ წასვლას.

**— ბარემ იმასაც გკითხავთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვის ქომაგობ?**

— ესპანეთს და არგენტინას ვგულშემატკივრობდი და მათი გავარდნით ძალიან გაწბილებული ვარ, ესპანეთი სულაც ძალით გააგდეს. ფეხბურთელებიდან კი რაულის გულშემატკივარი ვარ.

**— ჩემპიონი კი გირჩევნია, რომ ბრაზილია გახდეს, არა?**

— კი, ბრაზილია მირჩევნია, მაგრამ თავისი არც რუდი ფიოლერს უნდა დავუკარგოთ. გერმანიის მიმართ სიმპატიები მხოლოდ იმის გამო თუ მაქვს, რომ შესარჩევი ციკლის დროს ფიოლერს გერმანიაში ძალიან აკრიტიკებდნენ, მაგრამ ამ მწვრთნელმა გუნდი ფინალში გაიყვანა.

**— იმ გუნდებიდან რომელი მოგეწონა, რომლებმაც ყველასთვის მოულოდნელად ძალიან ბევრს მიაღწიეს?**

— ასეთი გუნდებიდან ამერიკას გამოვარჩევდი.

**— შენს პირად ცხოვრებაში კი ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა — დაოჯახდი.**

— ცოლი ერთი თვის წინ შევირთე. საქორწილო მოგზაურობა კანარის კუნძულებზე გვქონდა. ჩემი თანაგუნდელი ირაკლი ვაშაკიძეც დაოჯახდა და „დინამომ" ორივე წყვილი ასე დაგვასაჩუქრა.

**— მეუღლე მანამდე თუ დადიოდა სტადიონზე შენს საგულშემატკივროდ?**

— როგორ არა, მედეა ყველა თამაშს ესწრებოდა ჩემს მშობლებთან ერთად, მას ნელ-ნელა ვაჩვევდი ჩემს ოჯახს.

**დავით თავართქილაძე**



ახალდაქორწინებულები: მედეა მახარაძე და ლადო ბურდული



## ტორპედოდან წასულ მაკაბელ დიდავას მახაჩყალაში ელიან

**საქართველოს ჩემპიონი** ქუთაისის „ტორპედო" ორიოდ დღის წინ კაპიტანმა გივი დიდავამ დატოვა. მაშინ, როცა ტორპედოელები ბაკურიანში არიან და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადებიან, დიდავა გაუჩინარებულია და სად, რომელი ქვეყნის რომელ გუნდში აპირებს კარიერის გაგრძელებას, ზუსტად ვერავინ გვეუბნება.

გივი დიდავა ისრაელის თელ-ავივის „მაკაბის" ფეხბურთელია და უკვე ორი სეზონია „ტორპედოშია" განათხოვრებული. ებრაელებთან მას ხუთწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული, რის შესაბამისადაც „მაკაბიში" კიდევ სამი წელი უნდა ითამაშოს.

გუშინ გვითხრეს, დიდავა თითქოს სწორედ „მაკაბიმ" დაიბრუნა, ორი სეზონია ის საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა და ებრაელებმაც მისკენ გული იბრუნესო. ისიც გავიგეთ, რომ ფეხბურთელი „ტორპედოდან" წასვლის შემდეგ ჯერ კიდევ ქუთაისში ყოფილა და არსად გამგზავრებულა. ყველაზე სარწმუნოდ კი ის გვეჩვენა, დიდავა კარიერას, ალბათ, რუსეთის პრემიერლიგელი მახაჩყალის „ანჟიში" გააგრძელებსო, რომ შევიტყვეთ. „ანჟის" ახლა ახალი მწვრთნელი ჰყავს — ლეონიდ ტკაჩენკო მირონ მარკევიჩმა შეცვალა. მარკევიჩი ქართულ საფეხბურთო სამყაროში ნაცნობი კაცია და თურმე, სწორედ მას უთხოვია, დიდავა მახაჩყალაში ჩამოიყვანეთო.

ვნახოთ, „ანჟის" პირობები ქართველი ფეხბურთელისთვის არა გვგონია მიულებელი გამოდგეს.

**ლუკა თალაკვაძე**


# იყიდება სასწრაფოდ!



შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი",

ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შვეიცარიით.

ფასი შეთანხმებით

**ტელ: 22-23-15**

# ლოკომოტივიდან მიდიან, ლოკომოტივი მიდის

**17 ივნისს** დაიწყო საახალსეზონოდ მზადება ვიცე-ჩემპიონმა „ლოკომოტივმა“. ზეგ კი ბულგარეთში მიემგზავრებიან რკინიგზელები, სადაც 16-დღიან შეკრებას გაივლიან. სადღეისოდ ორჯერად ვარჯიშებზე გადაუყვანიათ გუნდი სერგო კოტრიკაძეს და გია ჯიშკარიანს. დილით ვაკის პარკში იდენენ ოფლს ფეხბურთელები, საღამოს კი ვაკის სტადიონის სათადარიგო მოედანზე ბურთით მუშაობენ.

კლუბმა მეცამეტე ეროვნულში თავგამოჩენილი შემადგენლობის ძირითადი ბირთვი თითქმის შეინარჩუნა, თუმცა რამდენიმე ფეხბურთელიც დაითხოვა. საბულგარეთო 21-კაციან სიაში თვალს ვერ მოჰკრავთ მცველ ნუკრი მანჩხავას, რომელსაც „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი არ აკავშირებდა და წასვლა გადაუწყვეტია. როგორც რკინიგზელები ამბობენ, მანჩხავა „დინამოს“ შეეკედლა.

დღეიდან თავისუფალი აგენტია კიდევ ერთი მცველი, გიორგი დავითნიძე, რომელიც მეცამეტე ეროვნულში ძირითადად სათადარიგოებში იყო გამწესებული. დავითნიძემ კლუბიდან განთავისუფლების ფურცელი უკვე მიიღო და ახალი გუნდის ძიებაშია.

რკინიგზელებს გაეყარა ნახევარმცველი დავით დათვაძე. იგი გუშინ „ლოკომოტივთან“ ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშს ატარებდა. მწვრთნელებმა ფორმის შესანარჩუნებლად წვრთნა არ დაამღლეს, მაგრამ ახალი სეზონიდან, ალბათ, ახალ კლუბში ვიხილავთ.

ჩვენდა გასაკვირად, საბულგარეთო შემადგენლობაში რკინიგზელთა სწრაფი გარემარბი მამუკა რუსიაც ვერ მოვიძიეთ. რუსია კონტრაქტით ჯერაც რკინიგზელია, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, კლუბთან ვერ მორიგებულა და ხელმძღვანელობასთან გუშინწინდელი საუბრის შემდეგ რუსიასთვის ოთხივე მხარეს გზა დაულოცავთ.

მას აქეთ, რაც რკინიგზელებმა საახალსეზონოდ წვრთნა განაახლეს, არ გამოჩენილა ზაზა ჯანაშია. გადაწყვეტილი კია მისი თბილისურ „ლოკომოტივში“ დარჩენა, მაგრამ მისი ვარჯიშებზე გამოუცხადებლობაც დამაფიქრებელია. ჯანაშიას ვარჯიშებზე არყოფნის საპატიო მიზეზი აქვსო, თქვეს გუშინ რკინიგზელებმა. ზაზა დაოჯახებულა და გუნდს შეკრებაზე შეუერთდებაო.

გიორგი ლომაია გუშინ დილით გაემგზავრა მოსკოვში. შუადღისას უკვე იქაური „დინამოს“ ხელმძღვანელებთან ჰქონდა შეხვედრა. მერე გუნდის ექიმებს ჩაუგდიათ ხელში და ყოველმხრივ შეუმოწმებიათ. საღამოს სამედიცინო პერსონალის საბოლოო დასკვნა მწვრთნელ ვიქტორ პროკოპენკოს მაგიდაზე ედო — საქართველოდან ჩამოსული მეკარე სრულიად ჯანმრთელია და დიდი დატვირთვების ატანაც არ გაუჭირდებაო. ლომაიამ პირველი, არცთუ უმნიშვნელო გამოცდა ფრიადზე ჩააბარა, დღეიდან საქმეშიც გამოსცდიან და თუ ივარგა, „ლოკომოტივს“ მეორე მეკარის ძებნა მოუწევს.



გიორგი ლომაია



დავით დათვაძე

კლუბიდან წასულებზე და დროებით დაკარგულზე მოგახსენეთ. ახლა ახალწვეულებზეც ვთქვათ. რკინიგზელთა პირველი შენაძენი მეკარე ბექა შეყრილაძეა. ამ ახალგაზრდა, ათლეტურ მეკარეს რეაქციაც არ დაეწუნება. სოლიდურ ქართულ გუნდში კია მოხვედრილი და დღეიდან ყველაფერი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. წარმოშობით თერჯოლელი შეყრილაძე „ლოკომოტივთან“ ერთად ბულგარეთში მიემგზავრება.

რკინიგზელთა მეორე რჩეული, მცველი ირაკლი ონიანი საფეხბურთო სკოლა „შევარდენიდან“ შეუერთდა ვიცეჩემპიონებს. ლაგოდეხელი ბიჭი მაღალი და ათლეტურია. ასაკის კვალობაზე კარგად ერკვევა სათამაშო სიტუაციებში და სისწრაფეც არ დაუმალდებია ღმერთსო, ასე ახასიათებენ „ლოკომოტივის“ თავკაცები. საბულგარეთო სიაში მისთვისაც გამონახულა ადგილი.

ნახევარმცველი მურთაზ ბურნაძე და ფორვარდი რომან გოგინაშვილი გორელები არიან. ორივემ თავისი წილი დადო „დილას“ უმაღლეს ლიგაში აღზევებაში. არც „ლოკომოტივში“ უნდა გაუჭირდეთ. თბილისში გადმობარგებულებს ორი თანაქალაქელი — გიორგი ბალაშვილი და ალეკო კაიდარაშვილი დააკვალიანებენ.

რკინიგზელებთან ვარჯიშობს თავდამსხმელი მერაბ ძოძუაშვილი, რომელმაც ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მოიშუშა მძიმე ტრავმა და გუნდში თავისი ადგილის გამონახვასაც შეეცდება.

საბულგარეთო 21-კაციანი შემადგენლობა კი ასეთია:

***მეკარეები:*** *მანუჩარ ივარდავა, ბექა შეყრილაძე;*

***მცველები:*** *გიორგი ბალაშვილი, სერგო ორბელაძე, ლაშა სალუქვაძე, როინ ონიანი, ზაზა ლაცაბიძე, ირაკლი ონიანი;*

***ნახევარმცველები:*** *კახა გოგიჩაიშვილი, დავით ჭიჭველიშვილი, დავით სირაძე, გელა ქორიძე, ვასილ არუდაშვილი, კახა ბერელიძე, მიხეილ სოსელია, მურთაზ ბურნაძე;*

***თავდამსხმელები:*** *ზაზა ჯანაშია, სულიკო დავითაშვილი, ალეკო კაიდარაშვილი, რომან გოგინაშვილი, მერაბ ძოძუაშვილი.*

**მამუკა ქვანტალიანი**

# სურვილი დიდია, შესაძლებლობა?..

**გასულ შაბათს** თბილისურმა „ვიტ ჯორჯიამ“ ინტერტოტოს გათამაშების პირველ ეტაპზე ბელგიურ „ლოკერენთან“ სტუმრად 1:3 წააგო და საქართველოში მომდევნო წრეში გაღწევის მცირე იმედითღა დაბრუნდა.

საპასუხო შეხვედრა თბილისში 29 ივნისს „ლოკომოტივის“ სტადიონზე 7 საათზე დაიწყება. ბელგიელებს, რომლებსაც საქმის ნახევარზე მეტი გაკეთებული აქვთ, საქართველოში ჩამოსვლა ნაადრევად გადაუწყვეტიათ და თბილისში დღეს საღამოს გვეწვევიან.

ბენილუქსელ სტუმრებს ამ ჯერზე უპრობლემოდ შეუტევს ვიტელთა მთავარი მეგოლე ლევან მელქაძე. უნდა ვივარაუდოთ, რომ მატჩის დელეგატი მელქაძის პასპორტს არ მოიკითხავს და არ შეედავება, ქართველს იტალიური სამუშაო ვიზა საიდან გაქვსო.

სადღეისოდ ისევ საეჭვოა ვეტერინართა მეორე ფორვარდის სანდრო იაშვილის თამაში, რომელმაც ტრავმა ჯერ კიდევ ბელგიაში გამგზავრებამდე მიიღო. მართალია, იაშვილი მკურნალობის ინტენსიურ კურსს იტარებს მტკივან კოჭზე, მაგრამ ტრავმა სირბილისას ტკივილებს იწვევს, თამაშამდე კი მხოლოდ ორი დღე დარჩა.

ჯანი კარნევალის არც ჯაბა მუჯირის დახმარების იმედი აქვს. ვიტელთა მარცხენა მცველმა ბარძაყის კუნთი ორი კვირის წინ დაიზიანა და წვრთნას რამდენიმე დღის შემდეგლა თუ განაახლებს.

„ლოკერენი“ კი თბილისისკენ საბრძოლო შემადგენლობით მოემართება, თუმცა მასპინძლები თავდაუზოგავ თამაშს და ორბურთიანი დეფიციტის გაბათილებას აპირებენ და შაბათს ვაკეში ურიგო ფეხბურთი არ უნდა გაჩაღდეს.

**მამუკა ქვანტალიანი**



ლევან მელქაძეს სავიზო პრობლემა არ შეაწუხებს

## კალენდარი

საქართველოს 14 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

### პირველი წრე

**პირველი ტური**

**3 აგვისტო, შაბათი**
მერანი — გორდა
ბათუმი — სიონი
დილა — ლოკომოტივი
მეტალურგი — დინამო
კოლხეთი — მილანი
**4 აგვისტო, კვირა**
ტორპედო — ვიტ ჯორჯია

**მეორე ტური**

**9 აგვისტო, პარასკევი**
დინამო — კოლხეთი
**10 აგვისტო, შაბათი**
ლოკომოტივი — მეტალურგი
სიონი — დილა
გორდა — ბათუმი
**11 აგვისტო, კვირა**
ვიტ ჯორჯია — მილანი
ტორპედო — მერანი

**მესამე ტური**

**17 აგვისტო, შაბათი**
მერანი — ვიტ ჯორჯია
დილა — გორდა
მეტალურგი — სიონი
**18 აგვისტო, კვირა**
მილანი — დინამო
ბათუმი — ტორპედო
**19 აგვისტო, ორშაბათი**
კოლხეთი — ლოკომოტივი

**მეოთხე ტური**

**25 აგვისტო, კვირა**
ვიტ ჯორჯია — დინამო
ლოკომოტივი — მილანი
სიონი — კოლხეთი
გორდა — მეტალურგი
ტორპედო — დილა
**26 აგვისტო, ორშაბათი**
მერანი — ბათუმი

**მეხუთე ტური**

**30 აგვისტო, პარასკევი**
ბათუმი — ვიტ ჯორჯია
მეტალურგი — ტორპედო
კოლხეთი — გორდა
**31 აგვისტო, შაბათი**
დილა — მერანი
მილანი — სიონი
**1 სექტემბერი, კვირა**
დინამო — ლოკომოტივი

**მეექვსე ტური**

**10 სექტემბერი, სამშაბათი**
მერანი — მეტალურგი
**11 სექტემბერი, ოთხშაბათი**
ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი
სიონი — დინამო
გორდა — მილანი
ტორპედო — კოლხეთი
ბათუმი — დილა

**მეშვიდე ტური**

**15 სექტემბერი, კვირა**
დილა — ვიტ ჯორჯია
მეტალურგი — ბათუმი
კოლხეთი — მერანი
მილანი — ტორპედო
დინამო — გორდა
ლოკომოტივი — სიონი

**მერვე ტური**

**22 სექტემბერი, კვირა**
ვიტ ჯორჯია — სიონი
მერანი — მილანი
ბათუმი — კოლხეთი
დილა — მეტალურგი
**23 სექტემბერი, ორშაბათი**
გორდა — ლოკომოტივი
ტორპედო — დინამო

**მეცხრე ტური**

**28 სექტემბერი, შაბათი**
მეტალურგი — ვიტ ჯორჯია
კოლხეთი — დილა
მილანი — ბათუმი
დინამო — მერანი
სიონი — გორდა
**29 სექტემბერი, კვირა**
ლოკომოტივი — ტორპედო

**მეათე ტური**

**4 ოქტომბერი, პარასკევი**
ვიტ ჯორჯია — გორდა
**5 ოქტომბერი, შაბათი**
ტორპედო — სიონი
დილა — მილანი
მეტალურგი — კოლხეთი
**6 ოქტომბერი, კვირა**
მერანი — ლოკომოტივი
ბათუმი — დინამო

**მეთერთმეტე ტური**

**15 ოქტომბერი, სამშაბათი**
კოლხეთი — ვიტ ჯორჯია
მილანი — მეტალურგი
დინამო — დილა
სიონი — მერანი
გორდა — ტორპედო
**16 ოქტომბერი, ოთხშაბათი**
ლოკომოტივი — ბათუმი

### მეორე წრე

**მეთორმეტე ტური**

**19 ოქტომბერი, შაბათი**
გორდა — მერანი
დინამო — მეტალურგი
მილანი — კოლხეთი
**20 ოქტომბერი, კვირა**
სიონი — ბათუმი
ლოკომოტივი — დილა
**21 ოქტომბერი, ორშაბათი**
ვიტ ჯორჯია — ტორპედო

**მეცამეტე ტური**

**27 ოქტომბერი, კვირა**
მილანი — ვიტ ჯორჯია
დილა — სიონი
ბათუმი — გორდა
მერანი — ტორპედო
**28 ოქტომბერი, ორშაბათი**
კოლხეთი — დინამო
მეტალურგი — ლოკომოტივი

**მეთოთხმეტე ტური**

**1 ნოემბერი, პარასკევი**
ვიტ ჯორჯია — მერანი
ტორპედო — ბათუმი
გორდა — დილა
სიონი — მეტალურგი
დინამო — მილანი
**2 ნოემბერი, შაბათი**
ლოკომოტივი — კოლხეთი

**მეთხუთმეტე ტური**

**6 ნოემბერი, ოთხშაბათი**
დინამო — ვიტ ჯორჯია
მილანი — ლოკომოტივი
კოლხეთი — სიონი
მეტალურგი — გორდა
დილა — ტორპედო
ბათუმი — მერანი

**მეთექვსმეტე ტური**

**10 ნოემბერი, კვირა**
ტორპედო — მეტალურგი
გორდა — კოლხეთი
სიონი — მილანი
ლოკომოტივი — დინამო
**11 ნოემბერი, ორშაბათი**
ვიტ ჯორჯია — ბათუმი
**12 ნოემბერი, სამშაბათი**
მერანი — დილა

**მეჩვიდმეტე ტური**

**16 ნოემბერი, შაბათი**
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია
მილანი — გორდა
კოლხეთი — ტორპედო
მეტალურგი — მერანი
დილა — ბათუმი
**17 ნოემბერი, კვირა**
დინამო — სიონი

**მეთვრამეტე ტური**

**22 ნოემბერი, პარასკევი**
მერანი — კოლხეთი
**23 ნოემბერი, შაბათი**
ვიტ ჯორჯია — დილა
ბათუმი — მეტალურგი
ტორპედო — მილანი
გორდა — დინამო
სიონი — ლოკომოტივი

**მეცხრამეტე ტური**

**27 ნოემბერი, ოთხშაბათი**
სიონი — ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი — გორდა
დინამო — ტორპედო
მილანი — მერანი
კოლხეთი — ბათუმი
მეტალურგი — დილა

**მეოცე ტური**

**1 დეკემბერი, კვირა**
ვიტ ჯორჯია — მეტალურგი
დილა — კოლხეთი
ბათუმი — მილანი
მერანი — დინამო
ტორპედო — ლოკომოტივი
გორდა — სიონი

**ოცდამეერთე ტური**

**8 დეკემბერი, კვირა**
გორდა — ვიტ ჯორჯია
სიონი — ტორპედო
ლოკომოტივი — მერანი
დინამო — ბათუმი
მილანი — დილა
კოლხეთი — მეტალურგი

**ოცდამეორე ტური**

**12 დეკემბერი, ოთხშაბათი**
ვიტ ჯორჯია — კოლხეთი
მეტალურგი — მილანი
დილა — დინამო
ბათუმი — ლოკომოტივი
მერანი — სიონი
ტორპედო — გორდა

**სათასო მატჩები გაზაფხულზე, ჩემპიონატის განახლებისთანავე ჩატარდება**

# თაობა არის!

## ოქვამოვლილ კალათბურთში გამოზრდილი და ცხრა ქართული ტიტულის მქონე ამროსი ორმოცაძე ახალ თაობას ბრწყინვალეს უწოდებს

*„ბასკოს" რუსმა მწვრთნელმა პაველ გოოგემ საქართველოში საქმიანობა ამ სამი წლის წინ სწორედ ბათუმური გუნდის კონსულტანტობით დაიწყო. იმ პერიოდში გოოგეს პირველ შთაბეჭდილებებზეც გავესაუბრეთ და ვკითხეთ კიდეც, ნანახ კალათბურთელთაგან რომელს გამოარჩევდა. არც დაფიქრებულა, ისე გვიპასუხა — სტუ-ს ცამეტი ნომერი ორმოცაძე მომეწონა, ვაჟკაცური თვისებები აქვს, ნაღდი სპორტსმენიაო... ადვილი წარმოსადგენია, როგორ ესიამოვნებოდა გოოგეს, როცა შარშან „ბასკოში" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მისულს სასურველი კალათბურთელი, ამროსი ორმოცაძეც გუნდში დახვდა. არაერთი საკადრო ცვლილების მიუხედავად, ორმოცაძის გაშვება ან გასხვისება არც კი უფიქრია, პირიქით, თავის სამწვრთნელო მონახაზში ორმოცაძესაც ღირსეული ადგილი მიუჩინა... გასრულდა სეზონი და ორივემ ქართული ოქროთი დაიმშვენა მკერდი. გოოგესთვის ეს პირველი ქართული აღიარება იყო, მისმა შეგირდმა, ორმოცაძემ კი კარიერაში, არც მეტი, არც ნაკლები, მეცხრე საჩემპიონო მედალი მიითვალა, რაც აქამდე არავის მოუხერხებია!..*



ამროსი ორმოცაძე საქართველოს ჩემპიონობას მეათედაც აპირებს

კარიერა მართლაც რომ შედგა, მოედანზე მუდამ მებრძოლი, ყოველმხრივ განსწავლული ამროსი ორმოცაძე, საკალათბურთო წრეებში უბრალოდ „ორმოცა", დღესაც ძველებური ჟინითაა შეპყრობილი, ქვეყნის ცხრაგზის ჩემპიონი ტიტულების გაათებას ლამობს. იღბალიც თან სდევს 32 წლის კალათბურთელს, მუდამ გამარჯვებულია, შვიდჯერ „ვითას" დაეხმარა ტრიუმფში, ორჯერ „ბასკოს" წაუკრა ხელი...

**— თქვენს საკალათბურთო კარიერაში, აშკარაა, დადებითი ემოციები სჭარბობს, ოქროს ხანა თქვენთვის კვლავაც გრძელდება...**

— ერთგვარად მიმართლებს კიდეც, მუდამ ამბიციურ, საჩემპიონოდ შემართულ გუნდში მიწევს თამაში, ჩემი კლუბიც უმეტესად თავაწეული ასრულებს სეზონს.

**— გამორჩევა, ცხადია, რთულია, მაგრამ მაინც გკითხავთ — რომელი ოქრო უფრო ძვირფასია თქვენთვის?**

— რომ გითხრათ, ცხრავე ჩემპიონობაზე ერთნაირად გავიხარე-მეთქი, არ ვიქნები მართალი. ყველას თავისებური ხიბლი კი ჰქონდა, მაგრამ პირველი ოქროს მედალია ყველაზე ღირსსახსოვარი. ალბათ, გახსოვთ ის პერიოდი, თბილისში გაგანია ომი იყო და სპორტის სასახლეში დასაჯდომს ვერ ნახავდით. მაშინდელი „ვითა" — „თბილისის" დაპირისპირების თანმხლები ემოცია დღესაც არ გამნელებია. ახალგაზრდა ბიჭებით დაკომპლექტებულმა „ვითამ" ისეთი გუნდის წინააღმდეგობა დაძლია, სადაც დერიუგინი, ნოდარ ქორქია, სანაძე, გურასპაული და სხვები თამაშობდნენ. ეს არ იყო სახუმარო ამბავი.

**— „ვითას" შვიდწლიანი ჰეგემონია ცალკე სალაპარაკოა. როგორ ფიქრობთ, რა იყო ამგვარი წარმატების მთავარი მიზეზი?**

— ფინანსურმა წელგამართულობამაც თავისი გააკეთა, მაგრამ უმთავრესი, ვფიქრობ, მაინც ერთსულოვნება იყო. „ვითა", მოგეხსენებათ, ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა, წლების მანძილზე ბიჭები ერთად ვთამაშობდით, რომ იტყვიან, ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდა, საოცრად მეგობრული გუნდი იყო. ძალიან მწყდება გული, ეს კლუბი რომ დაიშალა, „ვითამ" და მისმა მეპატრონე თემურ დათიკაშვილმა დიდი საქმე გაუკეთეს ქართულ კალათბურთს, მაგრამ ხომ ნახეთ, ყოველივე როგორ ცუდად დამთავრდა. დათიკაშვილი დღეს საერთოდ აღარ ჩანს კალათბურთში, მიმაჩნია, რომ იგი ხელით სატარებელი პიროვნებაა, მაგრამ კაცს ფეხი გადაუბრუნდა და...

**— მოედანზე ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ხართ, ძირითადად შავ სამუშაოს ასრულებთ, თუმც „ვითაშიც" და „ბასკოშიც" არაერთხელ გადაგიწყვეტიათ მატჩის ბედი. კონკრეტულად რომელიმე თამაშს თუ გაიხსენებდით?**

— ასე უცებ მიჭირს ამა თუ იმ თამაშის გამორჩევა, დაფიქრება მჭირდება. ისე, გეთანხმებით, ბევრჯერ ჩამიგდია გადამწყვეტი ბურთი, მაგრამ დეტალები აღარ მახსოვს. თუმცა არასდროს დამავიწყდება ის დღე, როცა საბჭოეთის პერიოდში 16 წლისამ პირველად ვითამაშე თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში. სპორტის სასახლეში იური გაგარინის სახელობის ტრადიციული ტურნირი ტარდებოდა, სავსე იყო ტრიბუნები, ლევან მოსეშვილმა მოსკოვის „დინამოს" წინააღმდეგ გამიყვანა, ძალიან ახალგაზრდა, გამოუცდელი ვიყავი, ჩემს წინ კი უკვე აღიარებული კალათბურთელები იდგნენ — ახოტნიკოვი, სუხარევი... მეხსიერებაში რატომღაც ეს დღე ამოტივტივდა.

**— მოედანზე ეშმაკურ ფანდებს ხშირად იყენებთ. თქვენს მიერ შესრულებულ ხრიკებს მსაჯები თითქმის ვერასდროს ამჩნევენ, მეტოქე კი მუდამ „პროვოკაციის" მსხვერპლი ხდება. ყოველივე ვინმეს მიბაძვით აითვისეთ თუ თანდაყოლილი ნიჭია?**

— სიმართლე გითხრათ, ამ ხერხებს წინასწარი განზრახვით არასდროს მივმართავ, ყოველივე თავისდაუნებურად ხდება, სიტუაციიდან გამომდინარე ვმოქმედებ. მიმაჩნია, რომ ეს არ ეწინააღმდეგება სპორტულ პრინციპებს. როცა ხედავ, რომ მეტოქე ფიზიკურად გჯობნის, შენზე მაღლა ხტება და სწრაფად დარბის, რაღაც ხომ უნდა დაუპირისპირო? ასე რომ, გადაწყვეტილებებს წამიერად ვიღებ, რაშიც, ცხადია, დიდი გამოცდილებაც მეხმარება.

**— როგორ ფიქრობთ, მაინც რა არის თქვენი ძლიერი მხარე?**

— გამორჩეულად სხვებს ვერ ვჯობივარ ამა თუ იმ კომპონენტში, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემი და ჩემი თაობის კალათბურთელთა პლუსები გულშემატკივრისთვის მაინც თვალში საცემია. კერძოდ ის, რომ ჩვენ სულ სხვა სკოლა გავიარეთ, კომბინირებულად ვსწავლობდით საკალათბურთო ნიუანსებს, წელიწადში უამრავ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირში ვმონაწილეობდით, რასაც დღევანდელი ბავშვები მოკლებულნი არიან. საწყენად ნურავინ მიიღებს, მაგრამ მაშინ მწვრთნელებს სულ სხვანაირი მიდგომა ჰქონდათ მოზარდებთან, ჯგუფში ოცამდე ბავშვი ვიყავით და მახსოვს, მწვრთნელები — თამაზ ოქრუაშვილი და გია მიქაძე სულ კუდში დაგვდევდნენ, ჩვენი თითოეული ნაბიჯი იცოდნენ, ვერაფერს გამოაპარებდი. ბავშვთა კალათბურთში მომუშავე მწვრთნელები ახლა აქცენტს ტალანტებზე აკეთებენ და სხვები უყურადღებოდ რჩებიან, იჩაგრებიან, თუმცაღა მაინც მიმაჩნია, რომ ყველა პლეადას თავისი კოზირი აქვს. ჩვენს შემდგომ თაობას სხვა ძლიერი მხარეები აქვს, უფრო ახალგაზრდები სულ სხვა საკალათბურთო ხედვით გამოირჩევიან.

**— უკლებლივ ყველა ჩემპიონატში მიგიღიათ მონაწილეობა. რაიმე წინსვლას თუ ამჩნევთ ქართულ კალათბურთს?**

— ვგრძნობ, რომ ნელ-ნელა, მაგრამ მაინც კარგისკენ მივდივართ, გუნდები უფრო სწრაფ, ძალისმიერ თამაშს ანიჭებენ უპირატესობას. თითქმის ყველამ ისწავლა კოლექტიური თამაშის პრინციპები, რაც თანამედროვე კალათბურთში ძალიან ბევრს ნიშნავს. ინდივიდუალისტი ყველა გუნდში უნდა იყოს, მაგრამ მიზანმიმართული ტაქტიკა და სათამაშო დისციპლინა აუცილებელი ატრიბუტი გახდა. ამ მხრივ ნამდვილად იგრძნობა წინსვლა.

**— სადაც თამაშობთ, მუდამ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ხართ. გუნდის მწვრთნელებიც ყოველთვის გენდობიან, აი, სანაკრებო კარიერა კი, ყოველივე ამის ფონზე, შეიძლება ითქვას, არ შედგა...**

— გეთანხმებით, ნაკრებში თითქმის არასდროს მიმართლებს, ძირითად შემადგენლობაში სულ რამდენჯერმე მოვხვდი. მიუხედავად ამისა, გულგატეხილი ნამდვილად არ ვარ, მწვრთნელები როგორც საჭიროდ თვლიდნენ, ისე იქცეოდნენ, ვერავის გავამტყუნებ. ალბათ, არ ვიყავი მზად და ამიტომაც არ მეძახდნენ ნაკრებში.

**— ამდენი წარუმატებლობის შემდეგ თქვენ როგორ უყურებთ ჩვენი ეროვნული გუნდის მომავალს?**

— ბრწყინვალე თაობაა. საქართველოს ნაკრებს ასეთი არჩევანი მართლაც არასდროს ჰქონია. სტეფანია, ნაცვლიშვილი, ბოისა, ფაჩულია, ცქიტიშვილი, უგრეხელიძე, მარკოიშვილი, საყვარელიძე — რომელი ერთი ჩამოვთვალო? ერთს ვიტყვი, ეს ბიჭები ვალდებულნი არიან, საქართველოს წარმატებები მოუტანონ.

**— თქვენი სამომავლო გეგმები როგორია, კვლავაც „ბასკოში" დარჩებით?**

— ახალ სეზონს რომელ გუნდში დავიწყებ, ახლა ნამდვილად არ ვიცი. „ბასკოსთან" კონტრაქტი დამიმთავრდა და როგორც დანარჩენი გუნდის წევრები, მეც შეებულებაში ვარ. მომავალში ვნახოთ, ვინც ჩემით დაინტერესებულია, ალბათ, მოლაპარაკებასაც გამიმართავს. ყოველივეს კარგად ავწონი და გადაწყვეტილებასაც ისე მივიღებ. ერთი კი ნამდვილად ვიცი, გაისადაც აუცილებლად ამბიციურ კლუბში ვითამაშებ, მინდა, მეათედაც გავხდე საქართველოს ჩემპიონი.

**— მტკიცნეულია, მაგრამ ადრე თუ გვიან, ალბათ, კალათბურთთან გამოთხოვებაც მოგიწევთ...**

— თუ დამიჯერებთ, ამაზე საერთოდ არ მიფიქრია. სანამ შევძლებ, ვითამაშებ, მერე კი... მერე ნამდვილად არ ვიცი, რა გზას დავადგები. ერთი რამ ცხადია, უკალათბურთოდ ვერ ვხედავ ჩემს მომავალს.

**— სიტყვა მომავალზე ჩამოვარდა და თქვენი 9 წლის გიორგიც მამის კვალს მისდევს...**

— ძალიან გამახარა, კალათბურთზე სიარული რომ მოინდომა. მოვკიდე ხელი და კალათბურთის აკადემიაში მიშა კობეშავიძეს და გელა წულაძეს მივაბარე სასწავლებლად. ღმერთმა ქნას, ჩემზე კარგი მოთამაშე დადგეს, საამისოდ ძალებს არც მე დავზოგავ.

**გიორგი ბიკაშვილი**

# ნაცვლიშვილს ოქროს ტელეფონით ართმევენ

ევროპაში საკალათბურთო სეზონი გასრულების პირზეა. ჩემპიონატი ერთის გარდა ყველა ქვეყანაში მოილიეს და როცა ქართველების მონაგარი შევკრიბეთ, ორი ოქრო და ერთი ვერცხლი გამოვიდა. იტალიაში ნიკა ცქიტიშვილმა იპირველა, სლოვენიაში — ვლადიმერ ბოისამ, ზაზა ფაჩულიას კი თურქული ვერცხლი ერგო. იმ ჯერაც სეზონდაუსრულებელ ქვეყანაშიც ქართველი ბურთაობს და ქართულ-ევროპული ოქროს გასამება იყო შესაძლებელი. თუმც ირკვევა, რომ ოქრო კი არ გასამდება, უფრო ვერცხლი გაორდება...

საქართველოს ნაკრების კაპიტან ვახტანგ ნაცვლიშვილის „ოლივეირენშეს" პორტუგალიურ ფინალში მეტოქედ ჩემპიონი „ტელეკომი" ჰყავს და სერიას 0:2 აგებს. ეს გუნდი დაახლოებით იგივეა, რაც საქართველოში „სტუ-ჯეოსელი". მისი სპონსორი პორტუგალიის ერთ-ერთი დიდი ფიჭური კავშირის კომპანიაა, მაგრამ ერთი განსხვავებაა, ეს კომპანია არა მარტო ამ გუნდს, მთლიანად პორტუგალიურ ლიგასაც სპონსორობს. ეს იმიტომ აღვნიშნეთ, რომ იქაურ მსაჯებს საორჭოფო სიტუაციებში ვინძლო „ტელეკომი" უფრო ესიმპატიუროთ და... თუმც ჯობს, ამის შესახებ თავად ვახტანგ ნაცვლიშვილს მოვუსმინოთ, რომელსაც გუშინ პორტუგალიაში დავუკავშირდით.

— არც ერთი მატჩი არ გვქონდა წასაგები, ორივეში თანაბარი ბრძოლა იყო. ეს შეხვედრები ბევრი რამით ჰგავდა ერთმანეთს. ორივე თანაბარი სხვაობით — 91:77 და 93:79 დასრულდა, ორივეგან ბოლო მეოთხედამდე ქულა-ქულაში მიდიოდა თამაში და, რაც მთავარია, ორივეში მსაჯები „ტელეკომს" ემხრობოდნენ. სტუმრად კი ვთამაშობდით, მაგრამ უფრო მგონია, რომ ამას „ტელეკომის" ხელმძღვანელობისა და სპონსორის გასახარად აკეთებდნენ. ამ გუნდის დამფინანსებელი ხომ მთლიანად ჩემპიონატის სპონსორიცაა. მათ ექვსი ამერიკელი ჰყავთ, ოღონდ უმრავლესობას უკვე აქაური პასპორტი უდევს ჯიბეში. საერთოდ კი, „ტელეკომში", თუ არ ვცდები, მხოლოდ ერთი პორტუგალიელი თამაშობს, მაგრამ ამით იმის თქმა არ მინდა, რომ მათი დამარცხება შეუძლებელია. სერიას 2:0 კი ვაგებთ, მაგრამ ჩემპიონობას ჯერაც ვაპირებთ...

რაც შეეხება „ოლივეირენშეს" წაგებულ მატჩებს, ორივეში დამარცხებულთა შორის საუკეთესო ქართველი იყო. პირველ შეხვედრაში ვატომ 22, მეორეში კი 21 ქულა მოაგროვა. ჩვეულად პირველი იყო მოხსნებშიც, მისი საორმატჩო მონაგარი 18 ასხლეტილი ბურთია.

ქართველ ლეგიონერთა ბოლო საამსეზონო მედალი ოქრო იქნება თუ ვერცხლი, შესაძლოა, დღესვე გაირკვეს. შინგალაღებული „ტელეკომი" ოლივეირენშეს ჩავა და თუ იმარჯვა, ყველაფერი მის სასარგებლოდ დასრულდება.

**ირაკლი ბერტაია**



ვახტანგ ნაცვლიშვილი ჩახლართულ ვითარებაშია



ნიკა ცქიტიშვილმა ევროპას მოხედა




ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავთ, ნბა-ს 2002 წლის დრაფტი ჩამთავრებული და ქართველი თავდამსხმელი ნიკოლოზ ცქიტიშვილი ნბა-ს რომელიმე გუნდის საკუთრება იქნება. დრაფტის ამბების დაწვრილებით გადმოცემამდე გთავაზობთ წერილს ჩვენებურ კალათბურთელზე, რომელიც აშშ-ის უდიდეს გაზეთ USA TODAY-ში ახლახან გამოქვეყნდა, თუმც ქართველი მკითხველისთვის აქტუალურობა არ დაუკარგავს. წერილი მაშინ დაიწერა, როდესაც ცქიტიშვილი იტალიურ „ბენეტონში“ თამაშობდა. მასში ქართველი კალათბურთელი ამერიკელებს ხინკლის ჭამას ურჩევს და ქართულ მაფიასა და ბევრ სხვა რამეზე ელაპარაკება

# ცქიტიშვილი შეიძლება იყოს კიდევ ერთი ევროპელი გენიოსი

**ბობ ძრაშიცი USA TODAY**

**სკაუტები** ამბობენ, რომ ცქიტიშვილი მომავალი დიადი კალათბურთელია ევროპიდან.

სკაუტები ამბობენ, რომ ის მომავალი პაუ გასოლია, უცხოელი ვუნდერკინდია, რომელიც აცვიფრებს მათ. მისი პოტენცია იმდენად შეუზღუდავია და მისი მონაცემები იმდენად მაცდუნებელი, რომ წლევანდელ დრაფტში ის შესაძლოა, პირველ ათ რჩეულს შორის მოხვდეს, მიუხედავად იმისა, რომ იტალიური ლიგის გუნდის, ტრევიზოს „ბენეტონის“ სათადარიგო მოთამაშეა.

„ბენეტონის“ ვარჯიშის დაწყებამდე ის დიდი ინტერესით მეკითხებოდა, ძირითადად დრაფტის შესახებ. აინტერესებდა რას შეიძლება მოელოდეს დრაფტისგან პაწაწინა ქვეყნის, საქართველოს რესპუბლიკის 19 წლის შვიდფუტიანი მოქალაქე. მას სურდა, რაც შეიძლება მეტი შეეტყო ამერიკაზე, იმ ადგილზე, რომელიც მხოლოდ ტელევიზორში უნახავს საქართველოს დედაქალაქ თბილისში, მშობლების სახლში. ცქიტიშვილის (გამოითქმის სკიტს-ის-ვილი) ინგლისური სიტყვების მარაგი შეზღუდულია. მიუხედავად ამისა, მას არ გამოლევია კითხვები.

— მითხარით, როგორია ამერიკა? — მკითხა მან.

ვუპასუხე და ამას მალევე მოჰყვა მომდევნო კითხვა, მე მასთან ინტერვიუზე ვიყავი და პასუხების გაცემა კი მომიხდა.

— რას ჭამენ ისინი იქ?

ვუთხარი, რომ ამერიკელები ჭამენ იტალიურ, ბერძნულ, მექსიკურ საჭმელებს, რომ ამერიკა სხვადასხვა ხალხების და მათი კერძების ქვასანაყია.

მან გაიოცა — კი, მაგრამ, ჰამბურგერები? თქვენ ხომ ძალიან ბევრ ჰამბურგერს მიირთმევთ?

— კი, ჰამბურგერებსაც — მიიღო პასუხი.

შემდეგ კი გაიღიმა — ზოგ რამეს მეც ვამზადებ. მაგალითად, კარტოფილს, ერბოკვერცხს, ვაკეთებ ძალიან კარგ ჰინკალს (ცომში გახვეული ღორის ან ძროხის დაკეპილი ხორცი ხახვით), როგორმე გასინჯეთ. ძალიან კარგია.

ამერიკაში რომ ჩამოვა, ის შეჭამს ბევრ ჰამბურგერს, ხოლო ამერიკელები გასინჯავენ ჰინკალს.

— შესაძლოა, მალე ჩამოვიდე ამერიკაში — მითხრა ცქიტიშვილმა ღიმილით.

ამ კვირაში ის მოხვდა სტუდენტების, სკოლადამთავრებულებისა და უცხოელი მოთამაშეებისგან შემდგარ დრაფტისთვის გამზადებულთა სიაში. ისევე, როგორც მოთამაშეთა უმრავლესობას, ცქიტიშვილსაც თავისი პირობები აქვს. თუ ის მიიღებს პირველ ათ რჩეულში მოხვედრის რაიმე გარანტიას, დადგება დრაფტზე. არადა, მომავალ ზაფხულს ერთხელაც ეცდება თავისას. ის, ალბათ, დარწმუნებულია, რომ წელიწადის შემდეგ ათეულში მოხვდება.

ყოველივე ეს მხოლოდ ფორმალობაა. ნიჭიერი ევროპელი ადრე თუ გვიან მაინც მოხვდება ნბა-ში, გასარკვევია მხოლოდ პირობები, წვრილმანები...

ცქიტიშვილი კარგი კალათბურთელია, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ შეხვედრებში ის თითქმის არ თამაშობს. შესაძლოა, იგი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა კალათბურთელია მსოფლიოში, უდიდესი პოტენციალით. დრაფტი დღეს რომ ტარდებოდეს, მეცხრე არჩევანის პატრონი „ფინიქსი“ მას დაუფიქრებლად აიყვანდა. არადა, დღეს ის „ბენეტონის“ სკამზე თითქმის ბოლოში ზის.

„ბენეტონის“ მწვრთნელმა, ნბა-ში ნამუშევარმა მაიკ დანტონიმ თქვა: „ნიკა ხშირად ვერ თამაშობს იმიტომ, რომ წინა გუნდთან საკონტრაქტო პრობლემების გამო ჩვენთან გვიან მოვიდა. თუ იგი მომავალი სეზონისთვის დაგვიბრუნდა, თამაშს მის გარშემო ავაწყობთ და ის მოედანზე საშუალოდ 20-25 წუთს დაჰყოფს“.

## საერთაშორისო დაზვერვა

თუ ცქიტიშვილი არ თამაშობს, მაშ საიდან ვადგენთ მის ნიჭიერებას? მზვერავები ესწრებიან მის ვარჯიშებს. ცქიტიშვილი არ გამოჩენილა ევროლიგის ოთხთა ფინალში, არადა მის სანახავად ამერიკიდან მზვერავები კი არა, გენერალური მენეჯერები ჩამოვიდნენ, ასე რომ, რჩება „ბენეტონის“ ვარჯიშები, ესაა ცქიტიშვილზე დაკვირვების ადგილი.

ვარჯიშებზე ცოტა როდი ჩანს — ის შვიდი ფუტია და, მგონი, ზრდას განაგრძობს. ისაა ნომინალური ფორვარდი, რომელსაც უყვარს ბურთის ტარება, მოედანზე სირბილი, პერიმეტრზე მოძრაობა და შორიდან სროლა.

— ერთხელ ვარჯიშისას ტრიბუნაზე თვალი მოვკარი რუდი ტომიანოვიჩს. — ჰყვება ცქიტიშვილი — მანამდე ის მხოლოდ ტელევიზორში მენახა, ახლა კი ცხოვრებაში შევხვდი.

მისი უთამაშებლობა ვითომ ამ საოცარი ბიჭის დაწუნების მიზეზია? აი, რას მოგვითხრობს ახლო ისტორია. „დალასში“ აყვანამდე დირკ ნოვიცკი ევროპის საშუალო სიძლიერის ლიგაში თამაშობდა. შევხედოთ! სადაა ის დღეს! პაუ გასოლი, სანამ ნბა-ში შეიჭრებოდა, ასევე საშუალო დონის ევროპელი მოთამაშე იყო. გასოლს სულ ერთი წლის გზა დასჭირდა ვარსკვლავობამდე.

„ინდიანას“ პრეზიდენტი დონი უოლში ამბობს: „ასეთია დღეს დრაფტი. გუნდები ორ-სამ წელში გამოსადეგ ბიჭებს ირჩევენ. ურჩევნიათ, მათ გაზრდას დაუცადონ, ვიდრე ხელიდან გაუშვან 210 სანტიმეტრს აცილებული მოთამაშე. ცხადია, ეს დიდი რისკია. ჩვენ რამდენიმე წლის წინ მეხუთე ნომრად ავიყვანეთ გამოუცდელი და ნიჭიერი ბავშვი ჯონათან ბენდერი. ყველამ ვიცით, რამდენად გაამართლა (უოლშს სურდა, ეთქვა, არ გაამართლაო) მან. ხალხი ფიქრობს, რომ ცქიტიშვილი მრავალმხრივი, რამდენიმე პოზიციაზე თამაშის შემძლე კალათბურთელია, მაგრამ არავის უნახავს ის ნამდვილ თამაშებში. კიდევ ვიმეორებ, რისკი უდიდესია და თან ორმხრივი. ამ ბიჭს აქვს მოწინავე ხუთეულის შესაბამისი ნიჭი, მაგრამ ჯერ არ უთამაშია. ასე რომ, ამან შეიძლება, დააფრთხოს მისი ამომრჩევლები და იქნებ მე-14 არჩევანამდეც დასწიოს. თუ მან სრულად გამოავლინა შესაძლებლობები, მაშინ მე-14 არჩევანის ხელფასით ხომ დაიჩაგრება? და რა ქნას გუნდმა, რომელიც მას მეორე ნომრად აიყვანს, მოთამაშე კი გუნდის სათადარიგოებში ჩაიკარგოს? ასე რომ, დასაფიქრებელი ყველას გვაქვს“.

## ეკონომიკური ინტერესები

ცქიტიშვილის სამშობლო, საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის პირზე, თურქეთის ჩრდილოეთით და რუსეთის სამხრეთით, უწინ საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო. ქვეყანა ცოტა ხნის წინ გახდა დამოუკიდებელი და ცნობილია ღვინის წარმოებით.

ქვეყნის ეკონომიკა დანგრეულია, ხოლო ინფრასტრუქტურა ინგრევა, ძალიან დიდია უმუშევართა რიცხვი. საქართველოდან ემიგრანტები ამბობენ, რომ იქ ძალადობის გამოვლინება წესი უფროა, ვიდრე შემთხვევითობა.



სლოვენიური ალბომიდან: ცქიტიშვილის კარიერაში „სლოვანიც“ იყო

ცქიტიშვილმა იცის, რომ მაღალ ნომრად არჩეული მოთამაშისთვის განკუთვნილი ფულით ის დაუყოვნებლივ შეცვლის თავის და თავისი ოჯახის ცხოვრებას. ამისთვის იგი უნდა მოხვდეს პირველ ათ რჩეულს შორის.

მას იტალიურ გუნდთან აკავშირებს კონტრაქტი. ნბა-ში მის მომავალ კლუბს ამ კონტრაქტის გამოსასყიდად შეუძლია, გაიღოს მაქსიმუმ 350 ათასი დოლარი, თუ მეტის გადახდის საჭიროებაა, მაშინ დანარჩენ თანხას მოთამაშე დაფარავს საკუთარი ხელფასიდან. მხოლოდ ათეულში მოხვედრის შემთხვევაში ექნება ცქიტიშვილს შესაძლებლობა, პირველივე წელს გამოისყიდოს კონტრაქტი „ბენეტონიდან“.

ათეულში მოხვედრა მას მოუტანს ფულს, რომლითაც გამოისყიდის ძველ კონტრაქტს და დახარჯავს ფულს ჰინკალზე და ცხოვრების სხვა სიამოვნებებზე.

— მე ვიცი, ღმერთი შანსს იშვიათად გვაძლევს — ამბობს ცქიტიშვილი — ჩემს ქვეყანაში ხალხს ფული არა აქვს, მხოლოდ მაფიას აქვს ფული. დიდი რისკია დაცდა, რადგან მე შეიძლება ტრავმა მივიღო და მაშინ ყველაფერი შეიცვლება.

მომავალმა პაუ გასოლმა კიდევ რამდენიმე შეკითხვა დამისვა ამერიკაზე, შემდეგ კი მისი გუნდის ვარჯიშიც დაიწყო. იმ მომენტში ის მილიონი მილით შორს იყო ნბა-ს მოედნებიდან, მაგრამ მცირე ხანში ის თავის ცხოვრებას შეცვლის.

## REUTERS ცქიტიშვილზე

**პარსმომდგარ** დრაფტს შეძლებისდაგვარად ყველა სააგენტო აშუქებს. საინფორმაციო საშუალებები დრაფტისწინა ამბებს არ გვაკლებენ და წამყვან მოდრაფტეთაც გვაცნობებენ. დრაფტში მონაწილე ქართველს ნიკოლოზ ცქიტიშვილს სააგენტო „როიტერი“ ასე წარუდგენს მომხმარებელს:

„ბენეტონის“ 213-სანტიმეტრიან და 102-კილოგრამიან თავდამსხმელს ნიკოლოზ ცქიტიშვილს კარგი შანსი აქვს, 2002 წლის დრაფტის პირველ ხუთ არჩეულს შორის მოხვდეს. იგი სიმაღლის კვალობაზე ძალიან მოქნილია და კარგად ესვრის, რის გამოც ადრევე მიიპყრო ნბა-ს მრავალი გუნდის ყურადღება.

ცქიტიშვილი ჯორჯიის — არა ამერიკის შტატის, არამედ რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქეა. კალათბურთელობამდე კლასიკური ბალეტის მოცეკვავე იყო. ბალეტზე სიარულისას ის განუწყვეტლივ იზრდებოდა და როცა ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ ველარ პოულობდა პარტნიორებს, თავი დაანება ცეკვას და გადავიდა კალათბურთში, სადაც მალევე მოექცა ყურადღების ცენტრში.

რაკი კალათბურთზე გვიან მივიდა, ის ჯერაც არაა ჩამოყალიბებული მოთამაშე. ამიტომ, უდიდესი ნიჭის მიუხედავად იშვიათად უწევს მოედანზე შესვლა და, აქედან გამომდინარე, უმაღლეს დონეზე თამაშის მცირე გამოცდილება აქვს.



ქართული კალათბურთის ახალი თაობა და იმედი: ნიკა ცქიტიშვილი და ზაზა ფაჩულია



ევროპის ჩემპიონი — საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები

# სჯობს გვიან, მაგრამ ასე კარგად...

**გუშინ** ფალავანთა კლუბის მეზობლად, რესტორან „შობაში", ევროპის ჩემპიონის — საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების პატივსაცემად საზეიმო ვახშამი მოეწყო. ქართველმა ძიუდოისტებმა სლოვენიურ მარიბორში გამართული კონტინენტური პირველობა 20 მაისს მოიგეს, მაგრამ უსახსრობის გამო მაშინ მათი ღირსეულად დახვედრა ვერ მოხერხდა.

არადა, ქართველებმა მართლაც ძალიან იყოჩაღეს. ნასესხები ფულით წასული ნაკრები ექვსი წევრით ასპარეზობდა და ყველა შეხვედრას 0:1 იწყებდა. მიუხედავად ამისა, ჩვენებურები ევროპის ჩემპიონები გახდნენ. რაც საქართველო დამოუკიდებელია, ასეთი რამ არ მომხდარა.

ამ წარმატებიდან ერთი თვის თავზე სახელოვანმა ფალავანმა თემურ ხუბულურმა და მისმა მეგობრებმა ნაევროპალ ძიუდოისტებს ლამაზი საღამო აჩუქეს.

იყო მრავალი მილოცვა და, ცხადია, სადღეგრძელოები. ძიუდოისტებისთვის იმღერეს ლელა წურწუმიამ და ზუკა ხუციშვილმა. საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენები გამოუგზავნა ნაკრების წევრებს: ზურაბ ზვიადაურს, ნესტორ ხერგიანს და ივერი ჯიქურაულს, ღირსების მედლები კი ალექსი დავითაშვილს და დავით ქევხიშვილს ერგოთ. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა ფულადი პრემიებით დაასაჩუქრა ჩემპიონები, ძიუდოს ფედერაციამ კი ნაკრების ექვსივე წევრს იაპონური ტელევიზორები აჩუქა.

რაგბი

# კლოდ სორელმა არჩევანი გაიბევრა

**2 ივლისს** საქართველოს ეროვნული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ბათუმში შეიკრიბება და 10-დღიან შეკრებას გაივლის. ბორჯღალოსანთა მწვრთნელი კლოდ სორელი 50 მორაგბეს შეკრებს. ჯერჯერობით ცნობილი არაა, ვის გამოიძახებს სორელი.

ბორჯღალოსნები 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ბოლო ეტაპს 28 სექტემბერს იწყებენ. სამგუნდა ჯგუფში ჩვენებურთა მეტოქეები ირლანდია და რუსეთი იქნებიან. პირველ მატჩს ჩვენები ირლანდიასთან სტუმრად გამართავენ, 5 ოქტომბერს კი თბილისში რუსებს უმასპინძლებენ. ჯგუფიდან ორი უკეთესი პირდაპირ გაემგზავრება ავსტრალიაში, მესამეადგილოსანი რეპეშაჟიდან (სანუგეშო ტურნირიდან) შეეცდება მსოფლიოს თასზე მოხვედრას.

ბათუმური შეკრებაც ამ შესარჩევი ტურნირის ერთი მოსამზადებელი ეტაპია, ამის შემდეგ ნაკრების კანდიდატები თავ-თავიანთ კლუბებს დაუბრუნდებიან და იქ გაივლიან სეზონისწინა სამზადისს. საქართველოს რაგბის კავშირს ამხანაგური მატჩის მოწყობაც სურს, მაგრამ ეს ჯერ ვერ ხერხდება.

**ბაჩო სმანიძე**



ევროპის ვაჟთა მე-3 ჩემპიონატი. ბათუმი

# ქართველები ხტებიან და ჰოპლას ვეღარ იძახიან

**ბოლო** ტურის წინ ევროპის ვაჟთა ჩემპიონატზე შანსიან ქართველად მხოლოდ მერაბ გაგუნაშვილი რჩება, ხოლო სხვა ჩვენიანთა მჭიდრო კოჰორტა, მერამდენე ტურია, დგას ცხრილის სათავის მისადგომებთან და უძნელესი ბოლო ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებს. 7,5 ქულა აქვს ერთბაშად 5 ქართველს — დავით შენგელიას, მიხეილ მჭედლიშვილს, ზურაბ სტურუას, ზვიად იზორიას და თამაზ გელაშვილს — რომლებიც ლიდერს ქულანახევრით ჩამორჩებიან და საჩემპიონო ამბიციები ვეღარ შერჩათ. ნახსენები გაგუნაშვილი 8-ქულიანებში ურევია, ხოლო ბაადურ ჯობავა, ვისაც 7 ტურის შემდეგ მასპინძლებიდან ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა, მერე და მერე ის ბაადური აღარ იყო და ახლა გიორგი ყაჭეიშვილთან და 15 არაქართველთან ერთად 7 ქულის ზღვარზეა გაჩერებული. ამ ჯგუფში ვამჩნევთ ჩემპიონატის ადრეულ ლიდერებს, რომლებმაც შვეიცარიული სისტემის პრესინგს ვერ გაუძლეს და ჩამოქვეითდნენ: პოლონელი ბარტოშ სოკო და რუსი დმიტრი იაკოვენკო ადრე ლიდერები იყვნენ.

მოსაწონი კი გახლავთ ის, რომ ყმაწვილი ქართველები (ზურაბ სტურუას გარდა ბათუმში სულ ახალი თაობა თამაშობს) თანაბრად ებრძვიან ნაცად გროსმაისტერებს და არაიშვიათად ალიყურებსაც აჭმევენ. წინა წერილში მოგიყევით ჯობავას სენსაციებზე და ორიოდე მაგალითის მოყვანა კიდევ შეგვიძლია: ზვიად იზორიამ ესტონელ იან ელვესტს მოუგო, რომელიც კარგად ნაცადია მაღალი დონის ტურნირებზე და ბათუმში მე-12 რეიტინგულ ადგილზე გახლავთ; მერაბ გაგუნაშვილმა ალექსეი ფიოდოროვს (9) აუგო წესი და ეს ბელარუსი ასევე პატივით სარგებლობს ჭადრაკის წრეებში. და ასე შემდეგ–

მანდილოსნებზე: ანა მათნაძეს საპატიო 5,5 ქულა აქვს, მსოფლიოს ექსჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს — 6 და უკრაინელ ნატალია ჟუკოვას კიდევ ნახევარი ქულით მეტი.

ლიდერი ერთია. პოლონელმა ბარტოლომეი მაჩეიხამ მოსაგები მოიგო, წასაგები არ წააგო და ბოლო ტურში მისი მთავარი მდევრები ერთმანეთს რომ ყლაპავენ, ესეც ცალკე კოზირი. თვითონ მაჩეიხა შვეიცარიის მოქალაქე ვადიმ მილოვთან შავებით თამაშობს და ეგებ ყაიმიც ეყოს ჩემპიონობისთვის.

**დავით გულუა**



ბარტოლომეი მაჩეიხა

ვითარება 12 ტურის შემდეგ

1. ბარტოლომეი მაჩეიხა (პოლონეთი) 9; 2-3. მიხაილ გურევიჩი (ბელგია), სერგეი ვოლკოვი (რუსეთი) 8,5; 4-9. გაბრიელ სარგისიანი (სომხეთი), შარუნას შულსკისი (ლიტვა), მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო), ალექსანდრ გალკინი (რუსეთი), ვადიმ მილოვი (შვეიცარია), კარენ არსიანი (სომხეთი) 8.

ავტორბოლა

# წითლებს ბევრი აქვთ მწვანე

## ვაი, ვაი, ფერარი მილიონი დოლარით არ შეაშინოთ

**გუშინ** პარიზში საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ თავის მორიგ მსოფლიო საბჭოზე „ფერარის" საქმე განიხილა.

გეხსომებათ, თვენახევრის წინ, ავსტრიის დიდი პრიზის გათამაშებისას, ფინიშამდე ორმოცდაათიოდე მეტრით, ანუ ორიოდე წამით ადრე რბოლის ლიდერი ფერარელი რუბენს ბარიკელო გუნდის შტაბიდან მიღებულ ბრძანებას დაემორჩილა და გამარჯვება მიხაელ შუმახერს დაუთმო.

ცხადია, წმინდა სპორტული თვალსაზრისით ეს ჩაწყობა მეტად უსიამოვნო ფაქტია, მაგრამ რაკი მსგავსი ამბავი სამეფო რბოლებში წინათაც მომხდარა, ფედერაციის თავკაცთა გულისწყრომა გამოიწვია არა იმდენად ამ ფაქტმა, არამედ რბოლის პრიზიორთა დაჯილდოებისას პოდიუმზე გათამაშებულმა ფარსმა: მიხაელმა, აქაოდა, მოგება არ დამიმსახურებიაო, რუბენსი კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე აუშვა, თავად კი მეორეზე დადგა და გამარჯვებულის თასიც მას უბოძა. შეიქმნა მეტად უხერხული ვითარება — ჰიმნი გერმანიისა იყო, პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე კი ბრაზილიელი იდგა.

ბოსებიც სწორედ ამ ოფიციალური „მეორე განყოფილების" გამასხრებამ გააცეცხლა და ეტიკეტის წეს-ნორმების დამრღვევთ სამაგალითო დასჯით დაემუქრნენ. სამაგალითოდ კი თითქმის ყველა ელოდა, რომ შუმახერს „შთამბეჭდავ" მოგებას ჩამოართმევდნენ და გარდა ამისა, „სკუდერია" იქნებ უფრო მკაცრადაც დაესაჯათ.

მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელობამ სხვაგვარად განსაჯა და მომხდარის გამო დიდი გულისწყრომის მიუხედავად, იტალიურ საჯინიბოს საკმაოდ ლმობიერი განაჩენი გამოუტანა: რადგან ერთი გუნდის წევრთა შორის ერთმანეთისთვის რბოლის დათმობა ჩვეულებრივი, ანუ წესებით აუკრძალავი ამბავია, ადრეც ყოფილა და, ალბათ, მომავალშიც არაერთხელ ვიხილავთ (რას იზამ, პილოტები ვალდებული არიან, კონტრაქტის ყველა პუნქტს დაემორჩილონ), ამაზე თვალი დახუჭეს, ხოლო საპოდიუმო ჯამბაზობისთვის „ფერარი", მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო მილიონი დოლარით დააჯარიმეს.

ცხადია, ესეც სასჯელია, თუმც მეფორმულეთა შემოსავლების გათვალისწინებით, სასაცილო თანხაა.

**გია ახალაძე**




მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო საპოდიუმო სკანდალს იოლად გადაურჩნენ



# იყიდება სასწრაფოდ

შიშკინის ფერწერული ტილოების ასლები, მხატვარი ნ. ა. ლვოვი

ტელ: 60-56-53, 69-78-55

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია თანაუგრძნობს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" სპორტის რედაქციის რედაქტორს ანზორ ბასილაიას დის **ლუნა ბასილაია-ღლონტის** გარდაცვალების გამო

'სარბიელელები სამძიმარს გუცხადებთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" სპორტის რედაქციის რედაქტორს ანზორ ბასილაიას დის **ლუნა ბასილაია-ღლონტის** გარდაცვალების გამო

# უიმბლდონი 2002

# ჩემპიონთა სასაფლაო


ავთანდილ სვანიძე

ლონდონიდან






REUTERS უიმბლდონიდან

ხორვატებს ყოჩაღი გოგო-ბიჭები არ ელევათ: ამჯერად მარიო ანჩიჩმა ივარგა

## გორანის ვაჟი

უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონი გორან ივანიშევიჩი მხრის ოპერაციის გამო ამჟამად მშობლიურ სპლიტში იმყოფება, ტიტულის დაცვის ნაცვლად ზღვის ნაპირზე მზეს ეფიცხება და ტურნირს ხასიათის კიდევ უფრო მოშხამვის შიშით ტელევიზორითაც კი არ ადევნებს თვალს. ივანიშევიჩების საგვარეულოს წლეულს „ოლ ინგლენდ კლაბში" სამეფო ლოჟაში მოკალათებული გორანის მამა, სრდიანი წარმოადგენს, რომელიც სამშაბათ საღამოს ცენტრალურ კორტზე ვაჟიშვილის მემკვიდრის დაბადების მოწმე გახდა.

18 წლის მარიო ანჩიჩი ინგლისელმა ჟურნალისტებმა უკვე „გორანის ვაჟად" მონათლეს და მსგავსების დანახვა ძნელი ნამდვილად არ არის — შარშან მსოფლიოს საუკეთესო იუნიორი. ისეთივე ტყვიასავით მოწოდებით, ოდნავ მოუხეშავი, მაგრამ ეფექტური დარტყმებით და რისკიანი თამაშის სიყვარულით გამოირჩევა, თანაც წონით და სიმაღლით ივანიშევიჩის ალიკვალია.

პირველ წრეში ანჩიჩის მეტოქე ბევრის (მათ შორის თქვენი მონა-მორჩილის) აზრით წლეულს უიმბლდონის მთავარი ფავორიტი როჯერ ფედერერი გახლდათ. 20 წლის შვეიცარიელმა შარშან უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონ პიტ სამპრასს ამავე კორტზე ხუთწლიანი წაუგებელი სერია შეაწყვეტინა, მაგრამ ამჯერად თვალებანთებულ და სრულიად აუღელვებელი გუშინდელი იუნიორთან თამაშის ყველა ასპექტში დაიჩაგრა.

კლასიფიკაციით 154-ე ანჩიჩი, რომელიც ძირითად ბადეშიც კი მხოლოდ საკვალიფიკაციო ტურნირზე სამი მატჩის მოგების შემდეგ მოხვდა, ფედერერზე უკეთ აწოდებდა, მეტოქეს ბადესთან მოულოდნელი გასვლებით აბნევდა და ტყვიასავით მიღება-შემოვლებულებს ისეთი ძალით აბრუნებდა უკან, შვეიცარიელს ლამის ჩოგანი ხელიდან გავარდნოდა. მატჩის ბოლოს მეშვიდედ განთესილ ფედერერს თავდაჯერება ისე შეერყა, კორტზე ადგილს ველარ პოულობდა და მეტოქეს გათამაშებებს შორის ლამის შიშით გახედავდა ხოლმე.

6:3, 7:6 (7:4), 6:3 გამარჯვების შემდეგ თანამემამულეთაგან „ჩუნჩად" წოდებულმა ხორვატმა ზეიმშიც კი ივანიშევიჩს წაბაძა მჯილების მოღერებითა და ყვირილით, მერე კი ჟურნალისტებთან გორანის მსგავსი იუმორის გრძნობაც გამოიჩინა.

— გორანთან რამდენად ახლოს მეგობრობ?

— ჩვენ ორივენი სპლიტელები ვართ და როდესაც ის შინ იყო-ხოლმე, სულ ერთად ვვარჯიშობდით, მაშინაც კი, 10 წლის რომ ვიყავი. ოლიმპიადაზე და დევისის თასზე წყვილებში ერთად ვითამაშეთ, ის ჩემი უფროსი ძმაა. გუშინ ტელეფონით ველაპარაკე და რამდენიმე რჩევა მომცა, მითხრა, ფედერერის ფორჰენდს ერიდე და მეორე მოწოდებაზე გარისკეო.

— თავის ყოფილ მწვრთნელ ბობ ბრეტთან მუშაობაც გორანმა გირჩია?

— არა, ეს ჩვენმა საერთო მენეჯერმა გამიხერხა. ისე, ამაში ცოტა ნაკლებად გამიმართლა. ბობმა გორანისგან ყველა ხორვატული გინება და უწმაწური სიტყვა იცის, ამიტომ რაიმე წამომცდება თუ არა, ხელებზე აზიდვით მსჯიდა. ის რომ არა, ასეთი მონდომებული და წყნარი ვერასოდეს ვიქნებოდი.

— შარშან გორანის უიმბლდონზე გამარჯვების შემდეგ მთელი სპლიტი ლამის სრული კვირა გიჟივით ზეიმობდა. რამდენი მატჩი უნდა მოიგო აქ, რომ წლეულსაც იგივე განმეორდეს?

— წარმოდგენა არ მაქვს. ხორვატები ცოტა უცნაურები ვართ, თუ რაიმეს მოიგებ, ყველა გაგალმერთებს, წააგებ ერთ მატჩს და მაშინვე ხელს ჩაიქნევენ, კაპიკია მაგის ფასიო. შარშან მეოთხედფინალამდე გორანის შეხვედრებს არავინ უცქერდა, მერე კი უცებ ყველაფერი შეიცვალა, მისი თამაშების დროს ქვეყანაში არარავინ მუშაობდა.

— ჩოგნების მტვრევასა და მათთან ლაპარაკშიც გორანს გავხარ?

— არა, მე მარტო ვამტვრევ-ხოლმე, საუბარი როგორღაც ნაკლებად მეხერხება.

ერთი (თუნდაც არაჩვეულებრივი) მატჩის მოგებით სუპერვარსკვლავი ვერ გახდები, მაგრამ ცოტათი მაინც გამიკვირდა, გუშინ დილით უახლოესი მეტროს გაჩერებიდან „ოლ ინგლენდ კლაბისკენ" მიმავალ ავტობუსში ანჩიჩი სწორედ ჩემს გვერდით რომ მოკალათდა — როგორც წესი, ჩოგბურთელებს მოთხოვნისამებრ სპეციალური მანქანები ემსახურება.

ხორვატს თამაში შევუქე, წარმატება ვუსურვე და ვკითხე, ივანიშევიჩს გუშინაც თუ ესაუბრე-მეთქი. „გორანმა მითხრა, მატჩ-პოინტზე სპლიტში ხალხმა იმხელა იღრიალა, კილომეტრების იქით გაიგონებდნენო. ძალიან გახარებული იყო, მაგრამ გამაფრთხილა, თავში არ აგივარდეს, მომდევნო მატჩშიც ასევე უნდა ითამაშოო".

თუ „ჩუნჩა" სულ ასე კარგად გაირჯება, უიმბლდონს ახალი ფავორიტი გამოსჩენია და ეგ არი.

## მარატის ჰარემი

ფედერერის მარცხი თურმე მხოლოდ დასაწყისი იყო. სულ ერთ საათში ბრაზილიელმა ფლავიო ზარეტამ ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულ ტომას იოჰანსონს აჯობა მარათონულ შეხვედრაში 6:7(2:7), 8:4, 7:6(7:4), 3:6, 12:10, გუშინ შუადღით კი ამ უკანასკნელის ბედი მარატ საფინმა და პიტ სამპრასმაც გაიზიარეს.

ცენტრალურ კორტზე საფინისა და ბელგიელი ოლივიე როშუს მატჩი დავითისა და გოლიათის შერკინებას უფრო ჰგავდა, გიგანტი რუსის ფონზე ჩია ბელგიელი კიდევ უფრო პატარად გამოიყურებოდა. ATP-ის ყველაზე ტანდაბალი მოთამაშე ოფიციალურად 1,65 მეტრი სიმაღლისაა, თუმცა ჯონ მაკინროის ამისიც არ სჯერა (ეგ ნახტომშიო) როშიუ ბურთის მიმტან ბიჭებსაც კი ქვევიდან ზევით აჰყურებდა.

ზომა-წონაში დანაკლისი გუშინდელ შეხვედრაში ბელგიელმა საოცარი სისწრაფითა და სტაბილურობით აანაზღაურა. თუ საფინი ხშირად ცდებოდა და თავზეხელშემოკურლი ბალახზე წამოგორდებოდა, როშიუმ თითქოს წინასწარ იცოდა, რუსი საით აპირებდა ბურთის გაგზავნას, მუდმივად საჭირო ადგილზე იყო და მეტოქისთვის მოუხერხებლად, დაბალი, მოჭრილი დარტყმებით აბრუნებდა ბურთს ბადის მეორე მხარეს.

დროის გასვლასთან ერთად ჩემს წინ მსხდარმა, სულ უფრო მეტად განერვიულებულმა რუსმა ჟურნალისტებმა გულდას პირი მოხსნეს და საფინს ძველ-ახალი ცოდვები გაუხსენეს. „მატჩისწინა ღამეების კახპებთან გატარება თამაშს რომ არ არგებს, ყველამ იცის... ნახე, ლოჟაში ავსტრალიის ღია პირველობაზე რომ ჰარემი გაიჩინა, ის ორი დიაცი უზის... საკუთარ თავს როგორ მოუაროს, არ იცის, ფულის მეტი არაფერი აინტერესებს, წააგებს თუ მოიგებს, ფეხებზე ჰკიდია"...

ისე, რუსს მონდომებას ნამდვილად ვერ დაუკარგავდი: სირბილი და ბორის ბეკერის მსგავსი ათლეტური ნახტომების კეთება არ დაზარებია, და ვინძლო სეტებში ანგარიშის გათანაბრებაც მოეხერხებინა, მეოთხე ხელის ბოლოს ბრეიკ-პოინტზე როშიუ მსაჯის შეცდომას რომ არ ეხსნა, რომელმაც ხაზზე დავარდნილი ბურთი ჯერ აუტად მიიჩნია, მერე კი აზრი შეიცვალა და ქულის გადათამაშება გახადა საჭირო. ტაი-ბრეიკზე საფინს ნერვებმა უმტყუნა და ერთადერთი ქულის მითვლა მოახერხა — 6:2, 6:4, 3:6, 7:6(7:1) როშიუს სასარგებლოდ.

„ზომას მნიშვნელობა არა აქვს — მაღალმა, დაბალმა, მსუქანმა თუ გამხდარმა, თამაში ყველამ იცის. რაკი 30 სანტიმეტრით დიდი ვარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემმა მეტოქემ მაშინვე თეთრი ალამი უნდა გადმოფინოს და ხელები გაასავსავოს. დღეს უბრალოდ ჩემი დღე არ იყო, ის კი კარგად თამაშობდა" — თავი იმართლა ყველაფერმოყირჭებული სახის მქონე რუსმა, რომელმაც ბელგიელს როლან გაროსზე რის ვაი-ვაგლახით ხუთ სეტში აჯობა.

როშიუ ოთახში მობილურით ხელში, ტექსტების კითხვით გართული შემოვიდა. „ბოლო ნახევარ საათში რაც ნაცნობ-მეგობრები მყავს, მგონი, ყველამ მომილოცა, 50-ზე მეტი წერილი მივიღე მობილურზე — გაიღიმა ბელგიელმა, რომელმაც პირველ წრეში თავისივე უფროსი ძმა, კრისტოფი დაამარცხა — როცა აქ ჩამოვედი და ბადეს დავხედე, გულზე შემომეყარა, რა დავაშავე, რომ ასეთი კენჭისყრა მერგო-მეთქი. საკუთარ ძმასთან თამაში ყველაზე ძნელია, ყველაფერი წინასწარ იცი, გათამაშების მოგება არ გიხარია. იმასთან შედარებით დღევანდელი შეხვედრა გაცილებით იოლად მომეჩვენა".

## ყოფილი ნიანგის ალალი ცრემლი

საფინის შეხვედრა ნახევარი საათის დასრულებული იქნებოდა, რომ „ჩემპიონთა სასაფლაოდ" წოდებულ მეორე კორტზე 90-იანების უიმბლდონის მეფემ, შვიდგზის გამარჯვებულმა პიტ სამპრასმა წააგო. „პისტოლ პიტი" წლეულს ძველებურად ველარსად ირჯებოდა, მაგრამ თავის საყვარელ ტურნირზე მდგომარეობის გამოსწორების და მეტოქეთა დაწიოკების დიდი იმედი ჰქონდა. ერთ დროს ირაკლი ლაბაძის მეწყვილე, ვერშემდგარი ჰოკეისტი ჯორჯ ბასტლი, რომელიც ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო ტურნირზე დამარცხდა და ძირითად ბადეში კაროლ კუჩერას ტრავმის გამო, „იღბლიან წაგებულად" მოხვდა, სხვაგვარად ფიქრობდა.

ჩაფსკვნილმა, დაკუნთულმა შვეიცარიელმა პირველ-მეორე ხელებში დიდი ჩემპიონი მწარედ დაჩაგრა, შედარებით სუსტ, ბექჰენდის მხარეს დარტყმებით მეტოქე უკანა ხაზს მიაჯაჭვა და ერთ დროს მრისხანე მოწოდება რამდენჯერმე აართვა. დაჭრილმა სამპრასმა ბევრი იბრძოლა, უპირატესობა ხელთ იგდო და ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხა, ოღონდ ეგ იყო და ეგ. საბედისწერო „პისტოლ პიტისთვის" გადამწყვეტი სეტის მეცხრე გეიმი გამოდგა. 30:0-ზე ერთ ორმაგ და ერთ უნებლიე შეცდომას ბასტლის საუცხოო მიღება-შემოვლებული მოჰყვა და ორიოდ წუთში ამერიკელს ბადისკენ მეტოქისთვის ხელის ჩამოსართმევად წასვლა მოუხდა. პიტი იმედგაცრუებული და იმდენად გაოგნებული იყო, რომ მეტოქისთვის ტრადიციული მილოცვაც კი დაავიწყდა, მერე სკამზე დაჯდა და რამდენიმე წუთი არ [illegible].

უნდა ვაღიარო, [illegible] ვგულშემატკივრობდი, მაგრამ პირთამდე სავსე საპრესკონფერენციო დარბაზში ამერიკელი ისეთი სახით გამოცხადდა, მტერსაც შეებრალებოდა. პიტმა მძიმე ზურგჩანთა იატაკზე მოისროლა, ამოიგმინა და სკამზე მჯდარმა თავი ხელებში ჩარგო. თითქმის ერთი წუთი კითხვის დასმაც არავის უფიქრია.

„ჩემი უახლოესი გეგმები შინ გაფრენაა. მერე კი არ ვიცი, აქ აუცილებლად მოვბრუნდები, უიმბლდონზე ჩემს კარიერას ასეთი წაგებით ვერ დავასრულებ — გაჭირვებით ამოღერღა პიტმა, ამ სიტყვებზე თვალებზე ცრემლები მოადგა და ისევ კარგა ხნით გაჩუმდა — არც კი ვიცი, რა ვიფიქრო, ყველაფრის სურვილი გამიქრა. წინანდელზე მეტს ვვარჯიშობ, მაგრამ შედეგები არსად ჩანს, ნახევარი სეზონი გავიდა და ისევ ხელცარიელი ვარ. დრო ყველაფრის მკურნალია. მომდევნო ორი კვირა, ალბათ, არავის დანახვა არ მენდომება, მაგრამ მერე შტატების ღია პირველობა მოდის და იმისთვის დავიწყებ მზადებას".

სამპრასმა ერთი-ორჯერ დაიჩივლა, „ჩემპიონთა სასაფლაოზე" რომ გამამწესეს, ძალიან მეწყინა, აქ ცენტრალური და პირველი კორტის გარდა ბოლო ათი წელი არსად მითამაშიაო, მაგრამ მერე ამაზეც ხელი ჩაიქნია, რამდენიმე კითხვას უპასუხა, მძიმე ჩანთა მხრებზე მოიგდო და თავჩაქინდრული პირდაპირ აეროპორტისკენ მიმავალ ლიმუზინისკენ გაემართა.

### ვაჟები

**მეორე წრე**

**რიხარდ კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — ჯეიმს ბლეიკი (29, აშშ) 6:3, 6:4, 3:6, 4:6, 11:9; **გრეგ რუზედსკი** (23, ბრიტანეთი) — ჰიუნგ ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:1, 6:4, 5:7, 6:2; **პარადორნ სრიჩაპანი** (ტაილანდი) — ანდრე აგასი (3, აშშ) 6:4, 7:6 (7:5), 6:2; **ენდი როდიკი** (11, აშშ) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:1, 6:2, 6:2; **ჯორჯ ბასტლი** (შვეიცარია) — პიტ სამპრასი (6, აშშ) 6:3, 6:2, 4:6, 3:6, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (28, არგენტინა) — პოლ-ანრი მეტიუ (საფრანგეთი) 7:6 (7:3), 7:6 (9:7), 6:3; **ევგენი კაფელნიკოვი** (5, რუსეთი) — ნიკოლა ტომა (საფრანგეთი) 7:6 (10:8), 6:2, 6:2; **ოლივიე როშიუ** (ბელგია) — მარატ საფინი (2, რუსეთი) 6:2, 6:4, 3:6, 7:6 (7:1); **უეინ არტურსი** (ავსტრალია) — ირჟი ნოვაკი (12, ჩეხეთი) 6:3, 7:6 (11:9), 6:3; **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — ტომას ენკვისტი (14, შვედეთი) 7:5, 6:3, 6:4; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 7:5, 6:3, 6:0; **ანდრეი პავლი** (15, რუმინეთი) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 3:6, 6:1, 7:6 (7:2), 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (22, ეკვადორი) — ბარი კოუენი (ბრიტანეთი) 4:6, 6:4, 6:3, 6:2; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ტოდ მარტინი (26, აშშ) 6:3, 6:4, 7:6 (7:2); **ტეილორ დენტი** (აშშ) — ჟან მიშელ გამბილი (აშშ) 6:4, 7:5, 7:6 (7:4); **ქსავიე მალისი** (27, ბელგია) — ვინს სპადეა (აშშ) 7:5, 6:2, 6:2

### ქალები

**მეორე წრე**

**ელს კალენსი** (ბელგია) — კლარისა ფერნანდესი (30, არგენტინა) 2:6, 6:3, 6:4; **ელენა დოკიჩი** (7, იუგოსლავია) — კვეტა პრდლიკოვა (ჩეხეთი) 6:0, 4:6, 8:6; **სირენა უილიამსი** (2, აშშ) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 6:3, 6:3; **ტატიანა პანოვა** (21, რუსეთი) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:7 (2:7), 6:3, 6:2; **ნატალი დეში** (25, საფრანგეთი) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:3, 6:2; **ანასტასია მისკინა** (18, რუსეთი) — გრეტა არნი (გერმანია) 6:4, 6:3; **მაია მატევჟიჩი** (სლოვენია) — ანე კრემერი (22, ლუქსემბურგი) 2:6, 6:1, 6:2; **დაჯა ბედანოვა** (26, ჩეხეთი) — სელიმა სფარი (ტუნისი) 6:3, 6:2; **მარიამ ორემანსი** (ჰოლანდია) — მეგან შონესი (13, აშშ) 7:5, 6:3; **მარი პიერსი** (საფრანგეთი) — სანდრინ ტესტუ (8, საფრანგეთი) 6:3, 6:4; **ლაურა გრენვილი** (აშშ) — მარლენ უეინგარტნერი (გერმანია) 6:3, 6:4; **ამელი მორესმო** (9, საფრანგეთი) — რიტა გრანდე (იტალია) 6:4, 6:2; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — საორი ობატა (იაპონია) 6:2, 6:2; **ჩანდა რუბინი** (აშშ) — იროდა ტულიაგანოვა (14, უზბეკეთი) 6:3, 6:1; **ჯენიფერ კაპრიატი** (3, აშშ) — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:2, 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა** (11, სლოვაკეთი) — მარტინა სუჩა (სლოვაკეთი) 6:2, 4:6, 6:3



REUTERS უიმბლდონიდან

დავითი ოლივიე როშიუ და გოლიათი მარატ საფინი



REUTERS უიმბლდონიდან



ძველმა დიდებმა ვაებას უწმირეს: პიტ სამპრასი და ანდრე აგასი

ეროვნული ბიბლიოთეკა


REUTERS საიტამიდან


REUTERS



REUTERS საიტამიდან

# ფინალის ხალხი

ბრაზილია ფინალშია! ზედიზედ მეორედ. ისე, როგორც ოთხი წლის წინათ, ამ ნახევარფინალშიც რონალდომ გაიტანა. ამიტომ თუ მოურგიათ ბრაზილიელ ყმაწვილებს სიხარულის ნიღბები და იმიტომ თუ ხარობენ საიტამას სტადიონის ტრიბუნებზე მსოფლიოს უმშვენიერესი და სულზე უტკბესი გოგონები, ბრაზილიელებიცა და იაპონელებიც. რონალდუუუუ!..

გუშინწინ კი გერმანელთა სიხარულის დღე იყო. და ლამაზი გოგო იქაც მოიძებნება. გერმანია — კორეის მატჩისას მხიარულობდნენ პელე და მონაკოს პრინცი ალბერიც. თუმცა, მანამდე პელე ამბობდა, ფინალში კორეელები გავლენო.

სამყაროს ერთ-ერთ უმშვიდეს ადგილას, ბად ადელჰოლცენში, ბავარიის მიწის ერთ პატარა სოფელში კი მონაზვნებიც შეჰხაროდნენ მიხაელ ბალაკს, რომელმაც ამდენი გააკეთა გერმანელთა გამარჯვებისთვის და ფინალში მაინც ვერ ითამაშებს.

დანი გერარდა, სილვია, სიგოლენა და გერტრუდისი მართლაც ძალიან სანახავნი არიან.




REUTERS ბად ადელჰოლცენიდან


REUTERS საიტამიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაб ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge